გაზეთი ბეჭდავს, „ვერსია“ ეხმიანება

ვერსია

ფასი 50 თეთრი

№44 (939) 2 - 4 მაისი, 2014 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

125 დაცვის პოლიცია SECURITY POLICE

შინაგან საქმეთა მინისტრმა გურიაში საპატრულო და დაცვის პოლიციის ახალი შენობები გახსნა

ლევან მიქელაძის სიკვდილის საიდუმლო

გვ. 5-7

სკანდალური ჟურნალისტური გამოძიება და ვერსიები

დიპლომატის ოჯახი აღფერნაციული ექსპერტიზის აშშ-ში ჩატარებას ითხოვს!

მამა თეოდორე

„მღვდლის ბუნებრივი ინსტინქტი მაქვს — ყოველთვის დაჩაგრულის მხარეს დავიჭერ, ჰომოსექსუალიც რომ იყოს“

გვ. 3

უჩა ნანუაშვილი: „არ მიმაჩნია, რომ ანტიდისკრიმინაციული კანონპროექტის გადავადების შესახებ პატრიარქის მოთხოვნის გათვალისწინება მნიშვნელოვანია“

გვ. 4

„საფოსტო კავშირის შესახებ“ კანონის სკანდალური დეტალები

გიორგი ბარაბაძის მიზნები და გეგმები

როგორ აპირებს კონკურენციის სააგენტოს ახალი თავმჯდომარე ქართული ბაზრის დიბერალიზაციასა და თავისუფალი ვაჭრობის ხელშეწყობას

რატომ არ ვრცელდება კალაძის დაპირება გარდაბნის რაიონზე

ოთარ გავაშელიშვილი

გავაშელიშვილისა და ზეინალოვის სახით, გარდაბანში ნაციონალებს აბრუნებენ

მარიფ ზეინალოვი

გიორგი იაშვილი

კოალიცია „ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელმა, ვიცე-პრემიერმა კახა კალაძემ განაცხადა, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე ჩვენი პარტიის სიებში ყოფილი ნაციონალები ვერ მოხვდებიანო. მერე მის სიტყვებს ინტერპრეტაცია გაუკეთეს, კალაძემ სიაზე თქვა, ნაციონალები არ იქნებიანო, თორემ მაჟორიტარ კანდიდატებად ნაციონალებს აუცილებლად წარადგენენო. რა უფლება გვაქვს, კალაძეს არ დავუჯეროთ, მაგრამ...

ის, რაც გარდაბანში ხდება, საარჩევნო ციებ-ცხელებაზე მეტია. ნაციონალური მოძრაობის ყოფილი წევრები, რომლებიც დღემდე ამ პარტიის აქტივში ირიცხებიან, ჯიუტად ცდილობენ, საარჩევნოდ ქართული ოცნების სახელით იყარონ კენჭი და საამისოდ არაფერს იშურებენ. გარდაბნელები კონკრეტულ სახელებსა და გვარებს ასახელებენ და ამბობენ, თუ კოალიცია მათ მხარს დაუჭერს, რაიონში უმართავი პროცესები დაიწყება, რადგან „ქართული ოცნების აქტივი“ არ აპირებს, ნაციონალური მოძრაობის წევრების გაყვანაზე იმუშაოს.

ვინმე ოთარ გავაშელიშვილი 2006/08 წლებში გარდაბნის რწმუნებულად მუშაობდა, შემდეგ კი საკრებულოს აპარატის უფროსად გადაიყვანეს, სადაც დღემდე მუშაობს. ამის მიუხედავად, აღნიშნულ თანამდებობას გავაშელიშვილისთვის ხელი არ შეუშლია, 2008 წელს საპრეზიდენტო არჩევნების დროს გარდაბნის რაიონში ნაციონალური მოძრაობის მთავარი კოორდინატორი ყოფილიყო. იმავე წელს ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებში იგი რაიონში უკვე არჩევნების ჩატარების პასუხისმგებელი პირია ნაციონალური მოძრაობიდან. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში, იგივე გავაშელიშვილი ნაციონალური მოძრაობის საარჩევნო შტაბის უფროსად დაინიშნა და არჩევნები მოიგო. სწორედ ამ დროს საპარლამენტო არჩევნების დროს გაილახნენ გარდაბანში მეცხრე არხის ჟურნალისტები (მათ შორის ქალბატონები), ზონდერჯგუფი ადგილამდე სწორედ გავაშელიშვილმა და მარიფ ზეინალოვმა მიიყვანეს და ჩხუბში პირადად მონაწილეობდნენ.

რაც შეეხება ზეინალოვს, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების დღეს „ქართული ოცნების“ აქტივისტებისთვის სურათების გადაღება ევალებოდა და ამას საპატრულო პოლიციასთან ერთად აკეთებდა, ავტომობილით და პოლიციის ესკორტის თანხლებით უბნიდან უბანზე დადიოდა და სურათებს იღებდა, თან ხმამაღლა ამბობდა, არჩევნების შემდეგ ყველას დაგიჭერთო. საპარლამენტო არჩევნების დასრულების შემდეგ ზეინალოვი, ყველასთვის მოულოდნელად, კონსერვატიული პარტიის გარდაბნის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარედ დაინიშნა. შესაბამისად, როგორც კონსერვატორთა პირველი კაცი რაიონში, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე სიაში ჩასმას ითხოვს და უარს ვერავინ ეუბნება, უფრო სწორედ, რაიონის აქტივი წინააღმდეგია, მაგრამ თბილისიდან თითს უქნევენ, ეგ კაცი რაიონში პირველი კონსერვატორია და მაგ პარტიას სიაში კვოტა ეკუთვნისო.

„მე არათუ სიაში ვიქნები, ახალ საკრებულოში თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობასაც შემპირდნენ და ზოგადად, ჩემნაირი ადამიანები ხელისუფლებას ყოველთვის სჭირდება. გავაშელიშვილთან ერთად ფრაქციას ჩამოვაყალიბებთ და რაიონი ისევ ჩვენს ხელში იქნება“, — ამბობს ზეინალოვი, რომელიც ნაციონალურმა ხელისუფლებამ თავის დროზე ნარკოტიკების გაყიდვის ბრალდებით დააკავა, მაგრამ მალევე გაათავისუფლა.

როგორც ამბობენ, ზეინალოვს „ქართული ოცნების“ სიაში გარანტირებული ადგილი აქვს, ხოლო გავაშელიშვილი უშუალოდ რაიონში აპირებს მაჟორიტარად კენჭისყრას. ამის შესახებ მან განცხადება უკვე გააკეთა და ისიც დააყოლა, „ოცნება“ მეხვეწება, ოღონდ შენ დაგვიდექი გვერდში და ყველაფერს ვიზამთ, რომ საკრებულო ჩაგაბაროთო.

პარალელურად, ნაციონალური მოძრაობის გარდაბნის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე, რამინ ბაირამოვი ზეინალოვის ბავშვობის მეგობარია, ხოლო გავაშელიშვილთან სარწმუნოებაში განსხვავების მიუხედავად, ნათელ-მირონობა აკავშირებს. ბაირამოვი, ზეინალოვი და გავაშელიშვილი დღემდე ერთად მოძრაობენ რაიონში და ამ ყველაფერს ირონიული ღიმილით კოჰაბიტაციას ეძახიან. გამოდის, რომ გავაშელიშვილის კანდიდატად დაყენების შემთხვევაში, ნაციონალურ მოძრაობას კონკურენტად ისევ ნაციონალური მოძრაობა ეყოლება და არა „ქართული ოცნება“.

ამ ტრიოს აქტიურად უჭერს მხარს საკრებულოს მოქმედი თავმჯდომარე ზაზა ონიანი. იგი ადგილობრივი თვითმმართველობის ბოლო ორ არჩევნებზე ნაციონალური პარტიის სიის მეხუთე ნომერი გახლდათ და 2012 წლამდე პარტიას ერთგულადაც ემსახურა, ახლა კი ცდილობს, „ოცნების“ ნავში გადაჯდეს და თუ სიაში შეძრომას მოახერხებს (რისი მცდელობაც აქვს), საკრებულოს ხელში ჩაგდებას ზეინალოვისა და გავაშელიშვილის ხელით აპირებს.

ჰოდა, ლოგიკურიცაა, რომ გარდაბნელები უკმაყოფილოდ აცხადებენ, თუ კალაძემ პირობა დადო, რომ სიაში ყოფილი ნაციონალები არ იქნებიან, გარდაბანმა რა დააშავა, „მამალ ნაციონალებს“ თავზე რომ გვასვამსო. მეორეს მხრივ, თუ ონიანი ოცნების წევრებს მუდმივად უმეორებს, მე ირაკლი ღარიბაშვილის კადრი ვარო, გავაშელიშვილი კალაძესთან მეგობრობას იჩემებს და აცხადებს, კახას ცოლისძმა ჩემს ხელშია გაზრდილი და მასთან სწორედ მან მიშუამდგომლაო.

შესაბამისად, ამომრჩეველთან მისული „ოცნების“ აქტივისტებს ადგილობრივები ეკითხებიან, ხმა ვის უნდა მივცეთ, ონიანს, გავაშელიშვილს და ზეინალოვსო? ამ კითხვაზე პასუხი კი, უბრალოდ, არ არსებობს.

შინაგან საქმეთა მინისტრმა გურიაში საპატრულო და დაცვის პოლიციის ახალი შენობები გახსნა

შინაგან საქმეთა მინისტრმა ალექსანდრე ჭიკაიძემ ქალაქ ოზურგეთში საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის გურიის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს ახალი შენობა გახსნა. ამიერიდან, გურიის რეგიონს 11 საპატრულო ეკიპაჟი მოემსახურება – ქალაქ ოზრუგეთსა და მის გარეუბნებს 6, ხოლო სამტრედია-ლანჩხუთი-გრიგოლეთის მაგისტრალზე, კერძოდ, სამტრედია-ოზურგეთის და სამტრედია-ჩაქვის მონაკვეთებზე – 5 ეკიპაჟი. გურიის რეგიონს დღემდე აჭარის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს 4 ეკიპაჟი ემსახურებოდა. ოზურგეთში ახალი სამმართველოს გახსნა საპატრულო პოლიციას მთლიანი რეგიონის მომსახურებაში შეუწყობს ხელს. საპატრულო პოლიციის ორსართულიანი, ახალი შენობა თანამედროვე ავეჯითა და ტექნიკითაა აღჭურვილი. მასში საპატრულო პოლიციის საგამოძიებო სამსახური, ადმინისტრაციული საქმისწარმოების განყოფილება, სამართალდარღვევათა და ანალიზის ჯგუფი და სხვა სამსახურები განთავსდა. დაცვის პოლიციის ოპერატიული რეაგირების ჯგუფისთვის განკუთვნილი ახალი შენობა კი, დაბა ურეკში გაიხსნა. თანამედროვე სტანდარტებისა და უახლესი ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილი შენობა შინაგან საქმეთა მინისტრმა ალექსანდრე ჭიკაიძემ და შსს-ს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარე გურამ ტომარაძემ გახსნეს.

2007 წლიდან გრიგოლეთის, ურეკისა და შეკვეთილის მოსახლეობას სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული სამმართველოს დაცვის პოლიციის ოპერატიული რეაგირების

ჯგუფი ემსახურება. დაბა ურეკში დაცვის პოლიციის ოპერატიული რეაგირების ჯგუფისთვის განკუთვნილი ახალი შენობა სამართალდამცველების სწრაფ მოქმედებას და ეფექტურობას გააუმჯობესებს.

ამ ეტაპზე აღნიშნულ ტურისტულ ზონაში დაცვის პოლიციის ტექნიკური საშუალებებით დაცულია 50-მდე აგარაკი, სავაჭრო ობიექტი და სასტუმრო. ტურისტული სეზონის დაწყებისთვის დაცვის პოლიცია დაცული ობიექტების რაოდენობის ზრდას ელოდება, რასაც ახალი შენობით, ახალი ოპერატიული ავტომობილით, თანამშრომელთა განახლებული უნიფორმებითა და ტექნიკური აღჭურვილობით ხვდება. შავი ზღვისპირა რეგიონში, ურეკის გარდა, აჭარის რეგიონულ სამმართველოს 5 ერთეული ახალი ავტომობილი Skoda Octavia გადაეცა.

დაცვის პოლიციაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მიმდინარეობს. შეიცვალა კორპორატიული ფერი, ლოგო, სლოგანი, უნიფორმები. განახლდა ავტოპარკი და შეიცვალა ავტომობილების იერსახე. სისტემატური და გეგმიური ხასიათი მიეცა ოპერატიული მიმართულებით დასაქმებული თანამშრომლების პროფესიულ და საცეცხლე მომზადებას. გაუმჯობესდა დაცული ობიექტებიდან განგაშების ოპერატიულად მიღებისა და მათზე რეაგირების შედეგები.

„ვერსიანიუსი“

კანონი ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების შესახებ ძალაში შევიდა

2014 წლის 1 მაისიდან, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ შემუშავებული კანონი „ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების შესახებ“ ძალაში შევიდა. კანონის მიხედვით, ყველა ნივთიერების არალეგალური ბრუნვა, რომელიც განეკუთვნება კრიმინალიზებულ ქიმიურ ნაერთთა კლასს, სამართალდარღვევას წარმოადგენს. სასჯელის ზომა ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების უკანონო დამზადების, წარმოების, შეძენის, შენახვის, გადაზიდვის, გადაგზავნის ან გასაღებისთვის, ისევე, როგორც უკანონოდ შემოტანის, საქართველოდან უკანონოდ გატანის ან ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვისთვის 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთით განისაზღვრა. კანონის მიხედვით ქიმიურ ნაერთთა 9 კლასია განსაზღვრული, ასევე, განსაზღვრულია ცალკეული ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებები, რომლებიც ამ კლასებს არ განეკუთვნება.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ახალ ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან ეფექტური ბრძოლისთვის საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტზე 2013 წლის ნოემბრიდან მუშაობს. კანონი ეფუძნება ევროპის ოთხი ქვეყნის – ავსტრიის, კვიპროსის, გაერთიანებული სამეფოსა და შვეიცარიის ახლებურ მიდგომას.

„ვერსიანიუსი“

მამა თეოდორე: „მღვდლის ბუნებრივი ინსტინქტი მაქვს — ყოველთვის დაჩაგრულის მხარეს დავიჭერ, ჰომოსექსუალიც რომ იყოს“



ნინო კომახიძე
599-95-33-16

ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღება-არმიღება კვლავ განხილვის საგანია. ერთ მხარეს არიან სასულიერო პირები, რომლებიც დეპუტატებს ანათემაზე გადაცემით ემუქრებიან, მეორე მხარეს — ის დეპუტატები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ მღვდლებს პოლიტიკური მანდატები სურთ და იმიტომ აქტიურობენ, მესამე მხარეს კი დაბნეული მრევლია. ანტიდისკიმინაციული კანონით გამოწვეულ სტრესს სამთავროს დედათა მონასტერში მონაზვნების ჩხუბიც დაემატა. მოკლედ, ქვეყანა ღრმა სულიერ კრიზისშია, რომლიდან გამოსვლასაც ფერისცვალების ეკლესიის წინამძღვარი მამა თეოდორე (გიგნაძე) „ვერსიასთან“ ერთად ცდილობს.

— პატრიარქმა პარლამენტს ანტიდისკიმინაციული კანონის განხილვის გადადება სთხოვა. პრემიერმა განაცხადა, კანონს მაინც მივიღებთო. შექმნილ ვითარებას თქვენც ეკლესიასა და ხელისუფლებას შორის განხეთქილებად აფასებთ?

— როცა საუბარია განხეთქილებაზე პატრიარქსა და ხელისუფლებას შორის, ეს, ზოგადად, ყველგან ასეა და არც ახალი ამბავია. არ მახსენდება საქართველოს არც ერთი ხელისუფლება, პატრიარქის სიტყვას ყურად იღებდეს.

— კანონში, რომელიც კრძალავს დისკრიმინაციას მთელი რიგი ნიშნების მიხედვით, სადავო ორი ფრაზაა — „გენდერული იდენტობა“ და „სექსუალური ორიენტაცია“. სასულიერო პირებმა არასამთავრობო ორგანიზაციის წევრები „სოდომ-გომორის“ მარადიულ ცეცხლში „გაუშვეს“ და სხდომა დატოვეს. ეს მიდგომა სწორია?

— ლიბერალებს სულ ვეჩხუბები, მაგრამ ბუნებით მაინც ლიბერალი ვარ და უკიდურესობა არ მიყვარს. მართლმადიდებლობა ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური და დემოკრატიული მოძღვრებაა, ამიტომ ჩემთვის ასეთი რამ შინაგანად მიუღებელია, თუმცა, უნდა ვიცოდეთ იმ სასულიერო პირის მოტივაცია, ვინც ამას ამბობს. თუ ეს ხალხი დაწყევლა, მიუღებელია. თუ იტყვის, ეს მათ შესაშინებლად ვთქვი, თორემ მერე წავედი და მათთვის ვილოცეო, სხვა საქმეა.

— საქმეც ისაა, რომ მათ პირდაპირ განაცხადეს, ლოცვებში აღარ მოგიხსენიებთო...

— თუ ესეც დეპუტატების შესაშინებლად ითქვა, სხვა საქმეა. თუ ეს მხოლოდ შიშველი წყევლა-კრულვაა, მიუღებელია, ამიტომ განკითხვა გამიჭირდება. მოდით, ახლა საკითხს ხელისუფლების პოზიციიდან შევხედოთ — შეიძლება, ისინი ფიქრობენ, რასაც კანონში ვწერთ, იმას ნორმად არ ვაქცევთ და ჰომოსექსუალიზმს არ ვაკანონებთო.

— არ ვიცი, რას ფიქრობენ, მაგრამ გედევან ფოფხაძეს კანონის მიღებას მართლმადიდებლობა ურჩევნია, მანანა კობახიძე მანდატს დატოვებს, თუ საქართველოში ჰომოსექსუალიზმი დაკანონდება, აი, თამარ კორძაია კი მიიჩნევს, რომ სასულიერო პირების აქტიურობის მიზეზი მანდატების მოპოვების სურვილია.

— თუ ქალბატონი კორძაია იმას გულისხმობს, რომ მღვდლები პოლიტიკაში ერევიან, უნდა ვიცოდეთ, როცა დავა ზნეობრივ საკითხებზე მიდის, მღვდელიც იტყვის სიტყვას. რაც შეეხება სხვა განცხადებებს, თუ ამ კანონს რაიმე ცუდი მოყვება, დაპირებები გვიან იქნება. ერთ-ერთი ეპისკოპოსი მესაუბრა კანონის რამდენიმე მუხლზე, რომლის მიხედვით, მე, როგორც სასულიერო პირს, მერთმევა უფლება ვთქვა, რომ ჰომოსექსუალიზმი ცოდვა, აღვირახსნილობა, ავადმყოფობა და გარყვნილებაა. თუ ამ სიტყვებს წარმოვთქვამ, დამნაშავე ვხდები?! იმაზე ლაპარაკი არაა, რომ დაუშვებელია ასეთი ადამიანების გინება, ცემა, სამსახურიდან გამოყრა, მაგრამ მე მას უნდა ვუთხრა — რასაც აკეთებ, ეს აღვირახსნილობაა-თქო და ეს ღირსების შელახვად არ უნდა ჩაითვალოს. თუკი ეს კანონი ამის უფლებას რაღაც კუთხით მართმევს, ეკლესია ხმას აიმაღლებს. ნურც იმაში დამარწმუნებს ვინმე, ქართველ კაცს ცნობიერების შეცვლა არასდროს ემუქრებაო. გასული საუკუნის 20-იან წლებშიც ასე გვეგონა და ჩვენი ხელით ვანგრიეთ ეკლესიები. მამა გაბრიელმა ლენინის სურათი რომ დაწვა და ქრისტეს მცნების ქადაგება დაიწყო, ქართველები არ დაერივნენ საცემრად?! თუ მაშინაც ბოლშევიკები ჩამოვიდნენ ჩრდილოეთიდან? არ მაქვს შიში, რომ კანონი შეგვაიწროვებს, სამღვდელოება ისედაც სულ შევიწროებულია, მაგრამ ხელისუფლებამ უნდა დამარწმუნოს, რომ ერს გადაგვარება არ ემუქრება. შეიძლება, ახლა ცილს ვწამებ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ეს კანონი ჩვენების დაწერილი არაა და ევროსტრუქტურებიდანაა ნაკარნახევი.

— არ გეჩვენებათ, რომ ზედმეტად დამახინჯებული პროპაგანდაა, თითქოს ევროპა გვაიძულებს, საქართველოში კაცმა კაცზე იქორწინოს?

— დამარწმუნე, რომ ასე არაა. გლეხის პირველი რეაქცია ასეთი იქნება — არ მინდა ევროკავშირი, 200 წელი რუსმა ვერ გამარუსა და ახლა შენ გინდა, მამათმავალი გამხადოო? ამიტომ უნდა თქვას ხელისუფლებამ — მოდი, ამ კანონს ჩვენ დავწერთ და ეროვნულ ცნობიერებას მოვარგებთ, ამაზე ჩემი ქართველი იურისტები იმუშავებენ და კანონშივე ჩადებენ პრევენციას, რომ დევნის აკრძალვა, მაგალითად, ერთსქესიანთა ქორწინებაში არ გადაიზრდება. ასე უნდა დაამშვიდონ საზოგადოება.

— დავით უსუფაშვილის თქმით, კანონის მიღება ევროპისკენ გადადგმული ნაბიჯია, არმიღება კი რუსეთში დარჩენა, რადგან იქ და ბევრ პოსტსაბჭოთა ქვეყანაში ეწინააღმდეგებიან ამ კანონს.

— ესეც ექსტრემიზმია! რას ნიშნავს, ვრჩებით რუსეთში? მაშინ ხალხის უმრავლესობის რეაქცია იქნება — ყოჩაღ, რუსეთს. გამოდის, მე კი არა, უსუფაშვილია რუსეთში ჩვენი შემყვანი. ვირთხა რომ ვირთხაა და კუთხეში მიამწყდევ, ის გადმოდის შეტევაზე და კაცი რას იზამს?! თავში აზრადაც არ მომსვლია, თუ ეს კანონი არ მინდა, რუსეთი მინდა-მეთქი. არ მინდა რუსეთი. 9 აპრილს გვერდში ნიჩაბი მომხვდა... მაგრამ თავად დამისვეს საკითხი ასე.

— თუ ეს კანონი ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერისთვისაა საჭირო, მაინც არ უნდა მივიღოთ?

— როცა ჰომოსექსუალიზმს, ამა თუ იმ ფორმით, ევროპას უკავშირებენ, ჰომოსექსუალიზმთან ერთად, უარს ვამბობ ევროპაზეც. როცა მერე ამ ჩემს ნათქვამს მიაბამენ, გამოდის, რუსეთი გინდა, თავდაცვის ინსტინქტი მერთვება. მრევლში მყავს ყოფილი მეძავები, ყოფილი ჰომოსექსუალებიც და ისინი საუკეთესო სულიერი შვილები არიან. რად უნდა ამას კანონი! რას ჰქვია, ვიღაცამ სცემოს, მაშ, პოლიცია რისთვისაა? არ მინახავს, ისინი ვინმეს განედევნა. ზოგს კარგი თანამდებობაც ჰქონდა, დიდი ფინანსები და არანაირი პრობლემა არ შექმნია. ვერ წარმომიდგენია, ვიღაც ვიღაცას ამის გამო სცემდეს. ბუნებრივი, მღვდლის ინსტინქტი მაქვს ასეთი — ყოველთვის დაჩაგრულის მხარეს დავიჭერ, ჰომოსექსაულიც რომ იყოს.

— მაშინ რატომ მოხდა 17 მაისი, რატომ იქცა დაცინვის საგნად ფრაზა „ტაბურეტით შეიარაღებული მღვდელი“?

— ეს იმ მღვდელს ჰკითხეთ, ვისაც ხელში ტაბურეტი ეჭირა. მერე იმასაც, ვინც მას პასუხი არ მოსთხოვა. რა ტაბურეტი, რა გინება... მღვდელი ქრისტეს ხატია. არ შეიძლება, მღვდელი იგინებოდეს, იფურთხებოდეს, თვრებოდეს, აგრესიას გამოხატავდეს. თუ ეს მაინც დაემართა, მუხლებზე უნდა დაემხოს და პატიება ითხოვოს ეკლესიისა და პატრიარქის წინაშე... არსებული ფორმით, ამ კანონპროექტში ხელისუფლების მიერ განმარტებული არაა, რომ ჩვენი ქრისტიანული სული და ტრადიცია დაცული იქნება. გარანტია არ ჩანს და ამიტომ მხარს არ ვუჭერ. თუ გარანტია გამოჩნდება, მერე ვიფიქრებ, რაკი ევროკავშირი ითხოვს, მაშინ მივიღოთ-მეთქი, თორემ დღეს ამ კანონის საჭიროებას საქართველოში ვერ ვგრძნობ. ვიღაცამ გეის თუ ჩაარტყა თავში, ის უფრო მკაცრად უნდა დაისაჯოს, ვიდრე კაცი, რომელმაც მღვდელს ან მანდილოსანს ჩაარტყა? გეიცა და ნებისმიერი მოქალაქეც აგრესიისგან თანაბრად უნდა დაიცვან და ამისთვის არსებობს პოლიცია. ისე, თუ ადამიანს უნდა, დისკრიმინაციის მიზეზს რა გამოლევს — ჩაცმულობა, გამოხედვა, საუბრის მანერა...

— პარალელურად, კიდევ ერთი გარჩევა მოხდა სამთავროს მონასტერში: დედა პარასკევა წამოვიდა და ინტერვიუ მისცა, ბერი გაბრიელის მსახურებისთვის, დედა ქეთევანი თავის გატეხვით დამემუქრა და მონასტრიდან გამომაგდოო. ამასაც აქვს ახსნა და გამართლება?

— არ ვიცი, რა მოხდა, მაგრამ ზოგადად, დედა პარასკევას საქციელი, დედა ქეთევანთან მიმართებაში, სულ რომ მართალი იყოს, მაინც არასწორია. არ ვიცი, რა მოხდა, მაგრამ დედა პარასკევა მაინც მტყუანია. საკუთარი დედა რომ მეჩხუბება, ეს თქვენ უნდა მოგიყვეთ? ეს არაეკლესიური და არაქრისტიანულია. შიგნით რაც ხდება, პატრიარქმა და საპატრიარქომ უნდა გაარჩიოს.

— ყველა დასმული კითხვის პასუხი ბოლოს მაინც შენდობა გამოდის. მაშინ რატომ მოყვა აჟიოტაჟი ირაკლი ალასანიას ფრაზას — ნაციონალებს უნდა ვაპატიოთო?

— მღვდელი სიტყვა „მიტევებაში“ პოლიტიკურ კონტექსტს ვერასოდეს დაინახავს. თქვენ რომ ვიღაცამ შეურაცხყოფა მოგაყენოთ და მერე ეს ადამიანი ჩემთან მოვიდეს, ვეტყვი, უფალმა მოგიტევოს-მეთქი, მაგრამ შენდობის სათხოვნელად თქვენთან გამოვუშვებ. ალასანიას გავამართლებ, თუ ეს ქრისტიანული სულისკვეთებით თქვა, თუმცა, სხვისი ჭირი ღობეს ჩხირია — მას რა ენაღვლება, როცა სხვას შვილი მოუკლეს, გაუუპატიურეს, ქონება წაართვეს. ამ დროს ვინ მოგცა უფლება, სხვას სხვის ნაცვლად მიუტევო. პატრიარქსაც კი არ გამოუცხადებია საყოველთაო მიტევება, ძალიან ფრთხილად მიუდგა ამ საკითხს და, როცა პატრიარქს წინ უსწრებ, ზნეობრივად სახიფათო მომენტია.

— ბოლოს, ვიდრე მითქმა-მოთქმა, დაიწყება, რა მოდა და ტენდენციაა აღსარების ტელეფონით, შკუპე-თი და აცებოოკ-ით ჩაბარებაო, იქნებ, ახსნათ, ინტერნეტაღსარება რა შემთხვევაშია დასაშვები და ეს გამონაკლისია თუ ახალი წესი?

— ვთქვათ, მეგობარმა რაღაც გავნოთ, აწუხებს, უცებ ვერ გნახულობთ და დაგირეკათ, არ მოუსმენთ? გამოდის, აღსარებას ტელეფონითაც ძალა ჰქონია. მოსმენისა და მიტევების ძალა თქვენ გაქვთ და მღვდელს არა? მაგრამ ამასაც თავის მინუსი აქვს. უფლის საიდუმლო აღსარება კი არა, ამის შედეგად მოსული სინანულია — როცა ერთი ერთზე საუბრობ მოძღვართან, სინანულის ხელშემწყობი პირობები, ცხადია, ძალიან დიდია. მოძღვარი გასწავლის, როგორ შეინანო და გახსნა გული. როცა ადამიანს რაღაც გულისტკივილი აქვს და მირეკავს, ვუსმენ. მითუმეტეს, თუ ვიცი, ჩემთან იმიტომ არ მოდის, რომ სადღაც შორსაა. ამ დროს უნდა ვანუგეშო, უნდა ვილოცო მისთვის, თუ ლოცვას ძალა არ აქვს?! შეიძლება, ვიღაც ისეთი სასოწარკვეთილია, თუ იმ მომენტში, თუნდაც ინტერნეტის, მობილურის საშუალებით არ უთხარი, ღმერთმა შეგინდოს და მოგიტევოსო, გამოუსწორებელი რამ გააკეთოს... ამიტომ, როცა ადამიანის შველა ერთი სიტყვითა და ერთი ზარით შეგიძლია, ეს უნდა გააკეთო.

„პარლამენტში შევალთ და ვინც კანონპროექტს მხარს დაუჭერს, ცხვირ-პირს დავუმტვრევთ“

ერუსუდან შელია
557-100-768

საქართველოში სამი თვის წინ დაბრუნებული გენერალი თენგიზ კიტოვანი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონპროექტს უპირისპირდება და პარლამენტის წინ მასშტაბური აქციების ორგანიზებასაც გეგმავს. ამ მიზნით, თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა, უშიშროების გენერალ ზურაბ ბაქრაძესა და შინაგან საქმეთა ყოფილ მინისტრ რომან გვენცაძესთან ერთად არასამთავრობო ორგანიზაცია სახელწოდებით — „საქართველოს ანტიტერორისტული კომიტეტიც“ დააფუძნა. თენგიზ კიტოვანის განცხადებით, ორგანიზაციის უკან მთელი საქართველო დგას: „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონის“ მიღება დაუშვებელია. ეს ქართველი ერისა და მამაკაცის შეურაცხყოფაა. შესაბამისად, ქართველი მამაკაცის შემარცხვენელი კანონის მიღებას არ დავუშვებ! მის წინააღმდეგ ომს პირველი ჩვენ დავიწყებთ, პარლამენტში შევალთ და ვინც კანონპროექტს მხარს დაუჭერს, ცხვირ-პირს დავუმტვრევთ. ყველას გამოვყრით, არაფრის მომერიდება“. „ვერსიის“ კითხვაზე, რა რესურსი აქვს საამისოდ და ნიშნავს თუ არა მისი განცხადება სამოქალაქო დაპირისპირების ინსპირირებას, თენგიზ კიტოვანი პასუხობს, რომ რეგიონში მოსახლეობის უმრავლესობას უკვე ესაუბრა და სასულიერო პირებთან ერთად მასშტაბურ გამოსვლებიც დაგეგმილი აქვს: **„ხაზგასმით ვაცხადებ, ამ კანონის მიღება ომს გამოიწვევს. მართლმადიდებლური ეკლესიაც ჩემ გვერდით დადგება, თითოეული სასულიერო პირი... ამ ეტაპზე, არაფერი შეთანხმებულა, მაგრამ ეკლესიის პოზიცია ჩემთვის ცნობილია. პარლამენტის წინააღმდეგ საბრძოლველად მზად ვართ. ჩვენი იარაღი კი, მუშტია! უახლოეს მომავალში ქუთაისში ჩავალთ და პარლამენტის შენობის წინ მასშტაბურ აქციებს დავიწყებთ. ყველას მოქმედების საკუთარი კანონები გააჩნია, მე კი ჩემი გეგმა მაქვს. საქართველოსა და ხალხს ვემსახურები, ამიტომ ერის ინტერესებს ბოლომდე დავიცავ. პრემიერმა განაცხადა, რომ კანონპროექტს აუცილებლად მიიღებენ. მას თავისი აზრი აქვს, მე ჩემი. ირაკლი ღარიბაშვილს პატივს ვცემ, მაგრამ ვფიქრობ, დასავლეთის გავლენის ქვეშ მოექცა“.**

უშიშროების გენერალი ზურაბ ქელეხსაშვილი აცხადებს, რომ ღონისძიებებს სახელმწიფოს სათანადო ორგანოებთან ერთად გეგმავს: **„იარაღის ჟღარუნზე არ ვსაუბრობთ. ლაპარაკია იმ გამოცდილების გამოყენებაზე, რომელიც ამ ორგანიზაციაში გაწევრიანებულ ადამიანებს აქვთ. ისინი წლების განმავლობაში სახელმწიფოს ემსახურებოდნენ“.**

რატომ არის ანტიდისკრიმინაციული კანონი მიუღებელი

გიორგი იაშვილი

წლების წინ, როცა ცნობილი მომღერლის, ელტონ ჯონის დაქორწინების ამბავი გადმოსცეს, ტელევიზორს მამასთან ერთად ვუყურებდი. მოულოდნელად, მამამ მკითხა, ელტონ ჯონი კაცი ხომ არისო? კი-მეთქი. გაოცდა, გვერდით კაცი რატომ უდგასო. რომ ავუხსენი, რა ხდებოდა, ჯერ მე დამაკვირდა გამომცდელი თვალით, ხომ არ მატყუებსო, მერე სხვა საინფორმაციოს მოუსმინა და მხოლოდ ამის შემდეგ თქვა, გაგიჟებულან ინგლისელები, ამის უფლება როგორ მისცეს, ან ტელევიზორში როგორ აჩვენეს, ან ამათ როგორ არ რცხვენიათო და მითხრა, მაგის სიმღერებს აღარ მოუსმინო, კარგს არაფერს იმღერებსო.

შესაძლოა, მამაჩემს ვინმემ ჰომოფობიაში დასდოს ბრალი, მაგრამ იგი ერთ-ერთია მრავალთაგან, რომელიც ვერასოდეს გაიგებს, რატომ დგანან საკურთხეველთან კაცი და კაცი, ან ქალი და ქალი. ვერასოდეს გაიგებს, რატომ მისცეს ელტონ ჯონსა და მის მეორე ნახევარს შვილების აყვანისა და გაზრდის უფლება (როცა ეს მოისმინა, კინაღამ ტელევიზორი დაამტვრია, ბავშვებს რაღას ერჩიანო) და ვერც იმას, ბავშვმა მშობლებს დედა და მამა რატომ არ უნდა დაუძახოს და რატომ უნდა იყვნენ მშობლები დანომრილი — მშობელი ნომერი პირველი და მშობელი ნომერი მეორე.

საქართველოს პარლამენტი ანტიდისკრიმინაციულ კანონზე მუშაობს. საპატრიარქო ამ კანონის წინააღმდეგია და ზოგადად, საქართველოში ასეა — რასაც ეწინააღმდეგება საპატრიარქო, ერს სჯერა, რომ ის ცუდია. მართალია, პარლამენტარები გვიმტკიცებენ, ერთსქესიანთა ქორწინებას არასდროს დავაკანონებთო, მაგრამ ეს ამბავი ძალიან ჰგავს ნატო-ში გაწევრიანების მცდელობას: ჯერ მაპ-ი გვინდა, მერე ნატო. ისე ჩანს, რომ ჯერ ეს კანონი უნდა მივიღოთ, მერე კი არც ერთსქესიანთა ქორწინების დამადასტურებელი კანონის მიღებაა შორეული პერსპექტივა და, თუ კანონი იქნება, სამღვდელოებასაც მოსთხოვენ, ჯვარი ოფიციალურად დაგვწერეთ, კანონია ასეთიო.

მეორეს მხრივ, ამ კანონს თუ ბოლომდე მივყვებით, სუფთა ჰომოფობიურ ფორმულას მივიღებთ. ანუ, თუ აქამდე პოლიტიკოსები გვიმტკიცებდნენ, სექსუალური უმცირესობის წარმომადგენლები ჩვეულებრივი ადამიანები არიან და რიგითი მოქალაქეებივით აქვთ ყველაფრის უფლებაო, ახლა გამოდის, რომ მათთვის ცალკე კანონს იღებენ, ანუ არაპირდაპირ აღიარებენ, რომ ისინი ჩვეულებრივები არ არიან და განსაკუთრებული დაცვა და რეგალიები სჭირდებათ.

ზოგადად, თითოეული ადამიანი დამოუკიდებელი ინდივიდია და ცხოვრობს ისე, როგორც სწორად მიაჩნია, მაგრამ ამ თავისი ცხოვრებით გარშემომყოფნი არ უნდა შეაწუხოს. როგორც მიხეილ სააკაშვილი იტყოდა, სხვისი უფლება მთავრდება იქ, სადაც იწყება ჩიორა თაქთაქიშვილის ცხვირი და ზუსტად იგივეს ვამბობთ ჩვენც. ვისაც რა უნდა, ის აკეთოს და იკეთოს, მაგრამ ამით გერშემომყოფნი არ შეაწუხოს და არავის მოუწოდოს, რომ ეს კარგია. რომ გამოდიან პლაკატებით, მე მიყვარს ჩემი გეი მეგობარიო, ყველამ რომ ასე დავიწყოთ პლაკატებით სირბილი და იმის პროპაგანდა, ვის ვინ უყვარს, რისთვის, როდის და რატომ, სადამდე მივალთ?! მითუმეტეს, სიყვარულსა მალვა უნდაო, ხომ გაგიგიათ და შეიკრიბონ ხოლმე ეს შეყვარებულები სადმე ერთად და უნდათ, დროშები და პლაკატები აფრიალონ, უნდათ დროშის ტარები იქნიონ.

ისე, პარლამენტარების შეწუხებულ სახეებს რომ ვუყურებ, ვრწმუნდები, რომ ამ კანონის მიღება ბევრს არ სურს, მაგრამ ისე ჩანს, რომ ეს ვინმეს მოთხოვნა თუ მითითებაა და ის ვინმე ისეთია, რომელსაც უარს ვერ ეუბნებიან. ვიღაცამ ისიც თქვა, ევროპისკენ საქართველოს სავალი გზა სწორედ ამდაგვარ კანონებზე გადისო და ჩანს, ეს გზა ეკლიანი კი არა, სხვა რამიანი ყოფილა. იმ რამეზე გავლის დროს კი, ფეხის დაცდენა და დაცემა არ უნდა იყოს მაინცდამაინც კარგი და სწორედ ამას უნდა უფრთხილდნენ პარლამენტარები. სწორედ ასე დაეცა წინა ხელისუფლება, მანამდე კიდევ იმის წინა და წამოდგომა ვერ მოახერხა.

ჰოდა, სწორედ ამაზე უნდა იფიქროს ხელისუფლებამ და არა იმაზე, რას იტყვიან ევროპელი პარტნიორები. ევროპელი წავა, თავის სამშობლოში არსებულ კანონს მოიწონებს, არატრადიციული ორიენტაციის ადამიანებს ტრადიციულად თავზე ხელს გადაუსვამს, ბოლოს კი ისევ ჩვენ დაგვამუნათებს, ხედავთ, რა დღეში ვარ და თქვენ რით მჯობიხართო. მე კი მგონია, რომ მამაჩემით და მისნაირებით ვჯობივართ, ვერასდროს რომ ვერ გაიგებენ, რატომ უნდა მოიყვანოს ცოლად კაცმა კაცი.

უჩა ნანუაშვილი:

„არ მიმაჩნია, რომ ანტიდისკრიმინაციული კანონპროექტის გადავადების შესახებ პატრიარქის მოთხოვნის გათვალისწინება მნიშვნელოვანია“

რუსუდან შელია
557-100-768

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონპროექტი პარლამენტში სასულიერო პირებსა და დეპუტატებს შორის მწვავე დებატების მიზეზი გახდა. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქმა პარლამენტს ანტიდისკრიმინაციული კანონპროექტის განხილვის არსებული სახით მიღების გადადება მოითხოვა, თუმცა საკითხი მცირედი შესწორებებით, მეორე მოსმენით მაინც გავიდა. კერძოდ, გადაწყდა, რომ მესამე მუხლში ჩამონათვალი — სასკოლო, სასჯელაღსრულებისა და საჯარო დაწესებულებებში დისკრიმინაცია დაუშვებელია, კანონპროექტიდან ამოიღეს... უქმნის თუ არა ანტიდისკრიმინაციული კანონი მართლმადიდებლობას საფრთხეს და რა მოთხოვნები აქვს საპარლამენტო უმრავლესობასთან, „ვერსიას“ სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი ესაუბრა.

— ევროკავშირის ყველა ქვეყანაში ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა ეფექტურად მუშაობს და, როგორც წესი, სახალხო დამცველის აპარატთანაა მიერთებული. სამწუხაროდ, საქართველოში ამ კანონპროექტის შესახებ ინფორმაცია საზოგადოებას არასწორი ინტერპრეტაციით მიეწოდება. პოლიტიკურ განცხადებას ვერ გავაკეთებ, თუმცა ვფიქრობ, გარკვეული ჯგუფი ამ საკითხს შეგნებულად ამახინჯებს.

— **პატრიარქმა პარლამენტს ანტიდისკრიმინაციული კანონპროექტის არსებული ვარიანტის განხილვის გადადება სთხოვა, კომიტეტის სხდომაზე კი სასულიერო პირები უმრავლესობის წევრებს ემუქრებოდნენ. საქართველოს ეკლესიაა ის ჯგუფი, რომელიც კანონპროექტის მნიშვნელობას ამახინჯებს?**

— სწორედ ამიტომ ვამბობ, რომ ამ საკითხის არასწორი ინტერპრეტირება ხდება, რადგან რეალურად, ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღება ახალი და განსაკუთრებული ნორმების დაწესებას არ ითვალისწინებს. დიდი ხანია ადამიანის ნებისმიერი ნიშნით დისკრიმინაცია საქართველოს კონსტიტუციით იკრძალება და კანონით დასჯადია. მოქალაქეებს აღნიშნული პრობლემით სასამართლოში ჩივილი აქამდეც შეეძლოთ, უბრალოდ, ამ დრომდე კანონმდებლობა არაეფექტური იყო, რადგან მასში პუნქტები დეტალურად არ გაწერილა. შესაბამისად, დისკრიმინაციული ფაქტების დაფიქსირებისა და მათზე რეაგირების თვალსაზრისით, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონპროექტის დამტკიცება კანონმდებლობაში ერთგვარი დამატებითი მექანიზმი იქნება. ანტიდისკრიმინაციული კანონის დაბლოკვით ან რაიმე საკითხის გადავადებით, არა მგონია, ქვეყანამ რაიმე სარგებელი მიიღოს, პირიქით — მისი მიღება ვიზა-ლიბერალიზაციის მიმართულებით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოთხოვნაა.

— **მაშინ კანონპროექტი პუნქტობრივად განვიხილოთ — მისი რომელი ნაწილი ეწინააღმდეგება მართლმადიდებლობას ან ეროვნულ ინტერესებს, რაზეც სასულიერო პირები აპელირებენ?**

— სისულელეა, თითქოს ანტიდისკრიმინაციული კანონპროექტის მიხედვით სასულიერო პირებს რაიმე ვითარებასა თუ ადამიანებთან ქადაგება ეკრძალებათ. ამის გამო, არავინ დააჯარიმებს მაშინაც კი, თუ პარლამენტი ინსპექტორის ინსტიტუტს შექმნის. კანონპროექტში მხოლოდ დისკრიმინაციული ფაქტების გამოვლენასა და გამოხატვის თავისუფლებაზეა საუბარი. არ ვიცი, ვინ რატომ ცდილობს კანონპროექტის არასწორად წარმოჩენას, თუმცა ეს, თავისთავად, ცუდი ფაქტია.

— **პატრიარქის მოთხოვნა პარლამენტს არ უნდა დაეკმაყოფილებინა?**

— არ მიმაჩნია, რომ ანტიდისკრიმინაციული კანონპროექტის გადადების შესახებ პატრიარქის მოთხოვნის გათვალისწინება მნიშვნელოვანია.

— **კანონპროექტის წინააღმდეგ არგუმენტები არასაპარლამენტო ოპოზიციასაც აქვს. მათი მტკიცებით, სკოლასა თუ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არატრადიციული ორიენტაციის მქონე პირის დასაქმება გაუმართლებელია.**

— მაინტერესებს, თუ კერძო უწყების ხელმძღვანელი ახალი კადრის სამსახურში აყვანას გადაწყვეტს, პირის სექსუალური ორიენტაციის დადგენა და აღწერა როგორ უნდა მოახერხოს? ხელმძღვანელმა თითოეულ ახალ თანამშრომელს მისი სექსუალური ორიენტაციის დაზუსტება უნდა მოსთხოვოს? ნამდვილად არ მესმის, ეს ყველაფერი სადამდე მიდის. არასერიოზული მიდგომაა! ადამიანის დასაქმება მისი პირადი ცხოვრების მიხედვით, დისკრიმინაციაა, რადგან პირადი და საჯარო ცხოვრება ერთმანეთისგან გამიჯნულია. სამწუხაროდ, ელემენტარულ საკითხებზე საუბრობენ... ისიც სისულელეა თითქოს ანტიდისკრიმინაციული კანონპროექტი ჰომოსექსუალური ორიენტაციის პროპაგანდას ეწევა. „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ პროექტი გულისხმობს, რომ ადამიანის დაჩაგვრა რაიმე ნიშნით არ უნდა ხდებოდეს.

— **თუ ინსპექტორის ინსტიტუტის შექმნას ეწინააღმდეგებით, სახალხო დამცველის აპარატი, რომლის მიმართაც საზოგადოებაში შენიშვნები ხშირად ისმის, იღებს პასუხისმგებლობას, რომ ყველა ფაქტის გამოვლენას რეალურად შეძლებს?**

— როგორც გითხარით, ქვეყანაში დისკრიმინაციის გამოვლენა აქამდეც ხდებოდა, ჩვენი აპარატიც წლების განმავლობაში სწორედ ამ მიმართულებით მუშაობს, თუმცა ფაქტების უმრავლესობა, ძირითადად, კერძო დაწესებულებებში ფიქსირდება, რომელიც ჩვენ პრეროგატივას არ წარმოადგენს და ამიტომ ვამბობ, სახალხო დამცველისთვის უფლებების გაზრდა აუცილებელია. არსებული სისტემა ეფექტური არ არის, რადგან სეგმენტს სრულად ვერ ვფარავთ და დიდი ნაწილი, ჩვენი სამოქმედო არეალის მიღმა რჩებოდა. სახალხო დამცველის აპარატის მიმართ უამრავი განცხადება თუ შენიშვნაც სწორედ იმის გამო ისმის, რომ მოსახლეობა უამრავ პრობლემატურ საკითხში ჩვენ ჩართვას ითხოვს, თუმცა ხშირად მათი მოთხოვნა ჩვენ კომპეტენციას სცილდება. ვიმეორებ, სახალხო დამცველის წარმომადგენელს კერძო სამართლებრივ სტრუქტურებში ვითარების შესწავლის მანდატი არ გააჩნია. მხოლოდ სახელმწიფო უწყებებში თანამდებობის პირების მხრიდან დისკრიმინაციულ ქმედებებზე რეაგირების უფლება გვაქვს, ამიტომაც მანდატის ცვლილება და მისი გაფართოება აუცილებელია, რათა საზოგადოებაში არსებული მოლოდინი სრულად გავამართლოთ. რაც შეეხება კანონპროექტის პირველ ნაწილში მითითებულ ინსპექტორების ინსტიტუტს, საზოგადოებაში გარკვეული რეპუტაციის მოპოვებას წლები სჭირდება. სახალხო დამცველის აპარატმაც მოქალაქეების ნდობა წლების განმავლობაში ინტენსიური მუშაობის შედეგად მოიპოვა და ახლა ამ ორი დამოუკიდებელი ინსტიტუტის არევა, ვფიქრობ, ქაოსს გამოიწვევს. თანაც დახურულ სტრუქტურებში, მათ შორის, პენიტენციალურ სისტემასა და ფსიქიატრიულ დაწესებულებებში შესვლის უფლება მხოლოდ ჩვენი აპარატის წარმომადგენელს აქვს. თუ რომელიმე მათგანში დისკრიმინაციული ფაქტი დაფიქსირდა, ინსპექტორი, რომელსაც დაწესებულებაში შესვლის უფლება არ აქვს, მას რა მექანიზმით გამოავლენს? თანაც ინსპექტორის ინსტიტუტის ჩამოყალიბება რეპრესიული მანქანის შექმნას ჰგავს. ნაკლებად მოსალოდნელია, მოქალაქეს საკუთარ პრობლემაზე ინსპექტორთან საუბრის სურვილი გაუჩნდეს. მიგვაჩნია, რომ ამ მიმართულებით დამატებითი უწყების ჩამოყალიბება საჭირო არ არის, რადგან სახალხო დამცველის აპარატი დიდი ხანია მსგავს საკითხებზე მუშაობს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ დამრღვევი პირის მიმართ ადმინისტრაციული ჯარიმის დაკისრება სასამართლოს მეშვეობით განხორციელდეს. ანტიდისკრიმინაციული კანონის ეფექტურობისთვის პროექტში გარკვეული გარანტიებიც უნდა ჩაიდოს. დამრღვევი პირის მიმართ მხოლოდ რეკომენდაციებზე საუბარი, ვითარებას არ შეცვლის. აუცილებელია, კანონმდებლობა ყველა მიმართულებით ამუშავდეს და კერძო პირებსა თუ დაწესებულებებს სრული დატვირთვით შეეხოს. სამწუხაროდ, ამ დრომდე, ვითარების დარეგულირება ვერ ხერხდებოდა და კანონმდებლობის მიღება მართლაც წინგადადგმული ნაბიჯი იქნება.

— **სტატისტიკა თუ გაქვთ, რამდენად ხშირად ფიქსირდება ეროვნული თუ სექსუალური უმცირესობების მიმართ დისკრიმინაციული ფაქტები?**

— საქართველოში დისკრიმინაციის ფაქტები სხვადასხვა ფორმით ვლინდება, ამას არავინ უარყოფს, მაგრამ ჯამში, მსგავსი პრეცედენტი საკმაოდ მცირეა, შესაბამისად, სტატისტიკაც არაა საგანგაშო.

— **თუ 17 მაისს სასულიერო პირები ქუჩაში სექსუალური უმცირესობების წინააღმდეგ მსვლელობას გამართავენ, ეს დისკრიმინაცია არ იქნება?**

— საკუთარი აზრის გამოხატვის უფლება ყველას აქვს. კანონმდებლობით არც მშვიდობიანი შეკრება თუ აქცია იკრძალება. ამ შემთხვევაშიც, ანტიდისკრიმინაციული პროექტი მსგავს შემთხვევებს არ ითვალისწინებს და მხოლოდ იმას განსაზღვრავს, რომ ნებისმიერ ჯგუფსა თუ პირს, განსხვავების მიუხედავად, თანასწორი უფლებები აქვს.

ლევან მიქელაძის სიკვდილის საიდუმლო

დიპლომატის ოჯახი ალტერნატიული ექსპერტიზის აშშ-ში ჩატარებას ითხოვს!

ჟენევის აეროპორტი 23 აპრილი

მაია ფურცელაძე
599-62-88-77

2009 წლის 26 აპრილს, ოფიციალური ვერსიით, გულის შეტევით გარდაიცვალა ცნობილი დიპლომატი ლევან მიქელაძე. „ვერსიამ“ გარდაცვალებიდან ერთი წლისთავზე — 2010 წლის 26 აპრილს გამოაქვეყნა მასალა, რომელიც ეჭვქვეშ აყენებდა ირაკლი ალასანიას პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებლისა და ლიდერის მოულოდნელი გარდაცვალების ფაქტს, რადგან არსებობს უამრავი გარემოება, რომელიც გონივრულ ეჭვებს ბადებს. მიუხედავად იმისა, რომ ლევან მიქელაძის მეგობრებმა და თანამებრძოლებმა „ვერსიასთან“ საუბრისას პირობა დადეს, რომ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ლევან მიქელაძის საქმეს გამოიძიებდნენ, სამწუხაროდ, ის დღემდე (ალასანიას პარტიის წევრებს ვგულისხმობ) ამ კუთხით არავის გახსენებია... სხვათაშორის ისევე, როგორც თავის დროზე მერაბ კოსტავას საეჭვო ავარია და მკველელობის გამოძიება არ გახსენებიათ ხელისუფლებაში მოსულ მის თანამებრძოლებს. ეს მცირე საყვედური ალბათ მისაღებია ჩემგან, ჟურნალისტისგან, რომელიც ლევან მიქელაძეს არც კი იცნობდა, ეს ჟურნალისტური გამოძიება 2010 წელს „ვერსიაში“ გამოქვეყნდა და სისხლის სამართლის საქმის გამოძიება მოითხოვა.

დღეს ლევან მიქელაძის ოჯახი მიიჩნევს, რომ მისი გარდაცვალება ხელოვნურად იყო გამოწვეული. აღნიშნული ეჭვის საფუძველს ლევან მიქელაძის ძმას ალტერნატიულ ექსპერტიზაზე უარის თქმა აძლევს. მამუკა მიქელაძე აცხადებს, რომ ოჯახს სურდა, ცხედრიდან აღებული საექსპერტო ნიმუშებისთვის ალტერნატიული ექსპერტიზა აშშ-ში ჩაეტარებინა, თუმცა, ექსპერტიზის ბიუროდან მიქელაძის ადვოკატმა შალვა შავგულიძემ მასალა ვერ მიიღო. მისივე თქმით, საეჭვო გარემოებაა გამოძიების არაკვალიფიციურად წარმართვაც. ამ დროისთვის შავგულიძე ვერ ამბობს, რისგან გარდაიცალა მიქელაძე, თუმცა, სამართალდამცველების მონდომების შემთხვევაში, საქმის გამოძიების შესაძლებლობა მაღალია.

„მე ვიცავდი ბადრი პატარკაციშვილის ინტერესებსაც და ისიც გულის შეტევით გარდაიცვალა. ადამიანები, რომლებსაც გული არ აწუხებდათ და საშიშნი ხდებოდნენ პოლიტიკურად, არსებული ხელისუფლებისთვის, ერთმანეთის მიყოლებით გულის შეტევით გარდაიცვალნენ, რაც ეჭვებს აჩენს.

მართალია, თავად ლევან მიქელაძე ერთ-ერთ ინტერვიუში აცხადებს, რომ „კონსპირაციის თეორიების“ არ სჯერა, მაგრამ, ბედის ირონიით, მისი ცხოვრების ტრაგიკული დასასრული, სწორედაც რომ, შეთქმულების თეორიის კლასიკური ნიმუშია. კი, არსებობს ლოგიკურად ერთმანეთთან დაკავშირებული ფაქტები, მაგრამ მტკიცებულებების არარსებობის გამო, დასკვნების გაკეთება მხოლოდ ვერსიების სახით შეგვიძლია.

და მაინც ვინ იყო ლევან მიქელაძე, რატომ დატოვა პოსტი და მოვიდა პოლიტიკაში 11-წლიანი წარმატებული დიპლომატიური სამსახურის შემდეგ, რა აკავშირებდა ედუარდ შევარდნაძესთან, მიხეილ სააკაშვილთან, ზურაბ ჟვანიასთან, ირაკლი ალასანიასთან, დავით გამყრელიძესთან, ლევან და გიორგი გაჩეჩილაძეებთან, რა გახდა 52 წლის ჯანმრთელი კაცის მოულოდნელი გარდაცვალების მიზეზი, რატომ არ იძლევა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა ქიმიური ანალიზის პასუხს შინაგანი ორგანოების მოწამვლაზე, ვის დასჭირდა ყაჩაღობის ინსცენირება მიქელაძის გარდაცვალებამდე 3 დღით ადრე, რა დაკარგა ოპოზიციამ და ვინ ისარგებლა მისი განეიტრალებით?

მიქელაძე — ოპოზიციის გამაერთიანებელი ფიგურა

2009 წლის 26 აპრილს, თბილისში, რუსთაველის პროსპექტზე, ოპოზიციის მიერ 9 აპრილს აგორებული საპროტესტო ტალღა ჯერ კიდევ ძლიერდებოდა და 26 მაისის პიკისთვის ემზადებოდა, რომელიც მაქსიმუმ პრეზიდენტ სააკაშვილის გადადგომით, მინიმუმ საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნით უნდა დასრულებულიყო. თუმცა „დინამოს“ სტადიონიდან სამების საკათედრო ტაძრისკენ განვლილი გზა საბედისწერო აღმოჩნდა და უკვე ნათელი გახდა, რომ ბრძოლა კრახისთვის იყო განწირული. დღეს, უკვე ერთი წლის თავზე, იმ პროცესს ვერდიქტი დრომ გამოუტანა — ოპოზიციამ ვერ შეძლო გაერთიანება, ვერ შეარჩია ლიდერი, რომელსაც ამ ბრძოლის სარდლობას ანდობდა. აპრილის აქციებს, ყველასთვის მოულოდნელად, შეუერთდა სამი პარტიის გაერთიანება — „ალიანსი საქართველოსთვის“. „ახალი მემარჯვენეებისა“ და „რესპუბლიკელების“ „დიპლომატების პარტიასთან“ გაერთიანებამ და ლიდერად ირაკლი ალასანიას აღიარებამ, ხელისუფლებას ახალი თავსატეხი გაუჩინა. გამოიკვეთა ალტერნატიული ძალა, რომლის წინააღმდეგაც უკვე აპრობირებული მეთოდებით ბრძოლა აღარ გამოდიოდა. მათი მენტალიტეტი და პოზიცია არც იმის საფუძველს იძლეოდა, საზოგადოება „რუსეთთან შეკრული მოღალატეებითა“ თუ „სისხლიანი სამხედრო გადატრიალების მომწყობი პუტჩისტებით“ დაეშინებინათ. გარდა ამისა, ალიანსს ჰქონდა ის, რაც ყველაზე მეტად აკლდა ოპოზიციას 2007 წლის ნოემბრის ბრძოლაში — კავშირები საერთაშორისო ინსტიტუტებთან, წლების მანძილზე ჩამოყალიბებული ურთიერთობა გავლენიან ფინანსურ თუ პოლიტიკურ წრეებთან, რომელთა დახმარებითაც, ბრძოლის გონივრულად წარმართვის შემთხვევაში, აღიარება და წარმატება შესაძლებელი იყო. ამგვარ სიტუაციაში ყოველთვის იკვეთება ფიგურა, რომელიც, ნებით თუ უნებლიედ, თავისი პიროვნული თვისებებით, წარსული გამოცდილებითა და გავლენით, ერთგვარი გამაერთიანებლის როლს ასრულებს. კანონზომიერება არც ამჯერად დარღვეულა — „ვერსიის“ ინფორმაციით, სწორედ ლევან მიქელაძე გახლდათ ის ადამიანი, რომელიც ერთნაირად მისაღები იყო ყველა ოპოზიციური პოლიტიკური ჯგუფისთვის. რადიკალებიც და ზომიერებიც მის რჩევებს ანგარიშს უწევდნენ, მის გადაწყვეტილებას ენდობოდნენ და მის სიტყვას პატივს სცემდნენ. მისი წონა და ფასი კი ოპოზიციაზე უკეთ ხელისუფლებამ იცოდა და ამიტომაც, როცა შვეიცარიაში საქართველოს სრულუფლებიანმა ელჩმა 2007 წლის 7 ნოემბერს თანამდებობიდან გადადგომის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო, თბილისში დატრიალებული სისხლიანი დარბევის გამო, ვარდების ხელისუფლებას „სადამსჯელო პიარაქცია“ არ განუხორციელებია ურჩი დიპლომატის დისკრედიტაციის მიზნით. არც მაშინ ჰქონია მწვავე რეაქცია, როცა ლევან მიქელაძემ, სრულიად მოულოდნელად, პოლიტიკაში მოსვლის სურვილი საჯაროდ გამოაცხადა. მეტიც, საკუთარი თანამოაზრე დიპლომატები ირაკლი ალასანიას ლიდერობით გააერთიანა და პარტიის დამფუძნებლად დაფიქსირდა. „ცივი ომის“ რეჟიმი სააკაშვილის ხელისუფლებას, ამ ეტაპზე, ყველაზე მეტად აწყობდა, რადგან „შავი პიარის“ შემთხვევაში მისთვის ყველაზე საშიში და ანგარიშგასაწევი საერთაშორისო საზოგადოება, რომელიც მიქელაძეს ქართულ საზოგადოებაზე უკეთ იცნობდა, მას არ დაუჯერებდა და ანგარიშსწორებასა თუ განეიტრალების მცდელობას დიდი სკანდალი მოჰყვებოდა. თუმცა ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ მიქელაძეს ეს ყველაფერი „აპატიეს“.

პროტესტი „დემოკრატიის გარდაცვალების“ გამო

26 აპრილს, ლევან მიქელაძის გულის ინფარქტით გარდაცვალების ამბავი პარლამენტის წინ გამართულ მიტინგზე მეხივით ისევე გავარდა, როგორც 2007 წლის 8 ნოემბერს, შვეიცარიაში საქართველოს ელჩის გადადგომა. თუმცა, საქართველოში შექმნილი ვითარების გამო, პროტესტი ბევრად ადრე გაუჩნდა, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილება 7 ნოემბრის სისხლიანმა დარბევამ მიაღებინა. 7 ნოემბერსვე, ლევან მიქელაძემ დიპლომატიურ კორპუსს საგანგებო წერილით მიმართა, რომელიც დღემდე ფართო საზოგადოებისთვის უცნობია:

„წერილი, რომელსაც გიგზავნით, ჭმუნვითა და ტკივილითაა სავსე. გწერთ, რათა შეგატყობინოთ გადაწყვეტილების შესახებ, რომელიც იძულებული ვარ მივიღო იმ საგანგაშო მოვლენებისა და ძალადობის კვალობაზე, რომელიც 7 ნოემბერს თბილისში მოხდა. გადაწყვეტილება — ძალის გამოყენებით ჩაეხშოთ მშვიდობიანი დემონსტრანტები — უზარმაზარი იმედგაცრუება იყო ჩემთვის მას შემდეგ, რაც საქართველომ მთავარ მიზნად დემოკრატიისა და თავისუფალი ქვეყნის მშენებლობა აირჩია. ამ მიზეზის გამო მე აღარ შემიძლია კეთილსინდისიერად შევასრულო ჩემი, როგორც შვეიცარიის კონფედერაციაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩისა და ჟენევაში განთავსებულ საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს მუდმივი წარმომადგენლის მეთაურის მოვალეობა საქართველოს ახლანდელი მთავრობისთვის. 7 ნოემბერს მინისტრ გელა ბეჟუაშვილს გადავეცი ჩემი გადადგომის განცხადება პრეზიდენტისა და პარლამენტის სახელზე. ამ განცხადებით სრულდება ჩემი, დიპლომატიური სამსახურის 11 წელი, რომელიც ვენაში დაიწყო და გაგრძელდა ვაშინგტონსა და ჟენევაში. ამ დროის განმავლობაში ვცდილობდი, ჩემი უფლება-მოვალეობა სიყვარულითა და ენთუზიაზმით შემესრულებინა. გადაწყვეტილება ჩემი სამსახურისა და ჩემი ფასეულობების შესაბამისია. ძალიან რთული დრო ქართველებთან ერთად საკუთარ თავზე გამოვცადე. სამწუხაროდ, უნდა ვაღიარო, რომ ეს სირთულეები არ დასრულებულა, მაგრამ ისიც ვიცი, რომ ქართველ ხალხს ძალუძს კრიზისის დაძლევა. გთხოვთ, საქართველოს მიმართ კეთილგანწყობა შეინარჩუნოთ. მადლობას გიხდით მეგობრობისა და მხარდაჭერისთვის. მე, ჩემს ოჯახსა და საქართველოს, თქვენთან მეგობრობამ და ურთიერთობამ მრავალი სიკეთე გვარგუნა. ვიმედოვნებ, უკეთესი დრო დადგება. ახლა კი ვალდებული ვარ, ეს ნაბიჯი გადავდგა, რათა მოვლენათა მსგავს მდინარებას გავემიჯნო. კეთილი სურვილებით, თქვენ და თქვენი ოჯახების მეგობარი ლევან მიქელაძე“.

ლევან მიქელაძეს ამ გადაწყვეტილების თაობაზე კონსულტაცია უახლოეს მეგობრებსა და ოჯახის წევრებთანაც კი არ გაუვლია, რადგან მიაჩნდა, რომ ეს მისი პიროვნული არჩევანი იყო. ამ ინფორმაციას ადასტურებს ალექსი პეტრიაშვილი, რომელსაც ბატონი ლევანი შვილობილად თვლიდა, და იხსენებს, რომ 7 ნოემბერს ტელეფონით ისაუბრეს. მან უსაყვედურა კიდეც, რატომ არ გვითხარი, თუ ამას აპირებდი, ჩვენც (ანუ ირაკლი ალასანია, ვიქტორ დოლიძე, დათო ზანკალიანი....) მხარს დაგიჭერდით — ერთად მოვედით და ერთად წავალთო. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ლევან მიქელაძე არ იყო ის დიპლომატი, რომელიც მხოლოდ საკუთარ იმიჯზე ზრუნავდა, რასაც მისი პასუხიც ადასტურებს: **„კატეგორიული წინააღმდეგი ვარ. ირაკლის გაერო-ში ძალიან მნიშვნელოვანი რეზოლუცია აქვს გასატანი და საქმე ბოლომდე უნდა მიიყვანოს. გარდა ამისა, თქვენი გადადგომა 7 ნოემბრითა და „იმედის“ დახურვით დაზარალებული ქვეყნის იმიჯს კიდევ უფრო დიდ დარტყმას მიაყენებს და საქართველოს საერთაშორისო ავტორიტეტი სრულიად განადგურდება!“** რა თქმა უნდა, დაუჯერეს. მეტიც, „ვერსიის“ გადამოწმებული ინფორმაციით, მიქელაძე 7 ნოემბერსვე ესაუბრა საგარეო საქმეთა მაშინდელ მინისტრს გელა ბეჟუაშვილს, რომელსაც დაჰპირდა, რომ მისი გადადგომა არ გასკანდალდებოდა და არავითარ შემთხვევაში არ მისცემდა არავის უფლებას, ეს ფაქტი პოლიტიკური სპეკულაციის საგნად გამოეყენებინათ. თუმცა, მისგან დამოუკიდებლად, მაინც გასკანდალდა, რადგან ლევან მიქელაძის დიპლომატიური სამსახურიდან პროტესტის ნიშნად წასვლა საერთაშორისო საზოგადოებისთვის იყო პირველი, ყველაზე ძლიერი სიგნალი იმისა, რომ საქართველოში დემოკრატიული პროცესების განვითარებას სერიოზული საფრთხე ემუქრება. არ ვიცი, ვინ როგორ აფასებს ამ ნაბიჯს, მაგრამ ფაქტია — ეს იყო პირველი შემთხვევა ქართული დიპლომატიის ისტორიაში (მეორე მაგალითს ვერ მისახელებენ), როცა ჩინოვნიკმა საკუთარი ღირსების დაცვის ფასად ქვეყნის ღირსებაც გადაარჩინა და მომავლის იმედიც, რომელიც ზნეობრივმა პროფესიონალებმა უნდა შექმნან. თუმცა არაადეკვატური იყო საერთაშორისო საზოგადოებისა და ქართული საზოგადოების რეაქცია 7 ნოემბრის მოვლენებზე, რაზეც თავად მიქელაძე, მოგვიანებით, ასეთ კომენტარს გააკეთებს: **„დასავლეთიც არაადეკვატური იყო. მაშინ ჩემთვის დემოკრატიული სახელმწიფო გარდაიცვალა, დამკვიდრდა ავტოკრატიული სახელმწიფო და ეს 7 ნოემბერს გაფორმდა... ქართული საზოგადოების რეაქციაც არაადეკვატური იყო იმ კატასტროფისა, რაც ქვეყანაში მოხდა. არაადეკვატური მეჩვენება საზოგადოების რეაქცია, როცა ზეწოლა მიდის მედიაზე, განსხვავებულ აზრსა და დემოკრატიულ ინსტიტუტებზე. მე მეტს ველოდი“.**

სამაგიეროდ, „დუბინკებს“ შეგუებული საზოგადოება თბილისში დაბრუნებულ ლევან მიქელაძეს აღფრთოვანებით შეხვდა, რაზეც თავად აცხადებდა: **„ამას დიდ გმირობად მითვლიან, მაგრამ არ მგონია, რაიმე განსაკუთრებული ჩავიდინე. ეს არ იყო ადვილი გადაწყვეტილება, რადგან ყველანი ჩვეულებრივი ადამიანები ვართ, რომელთაც მიწიერი პრობლემები გვაწუხებს!“** მიწიერი და ყოფითი პრობლემები კი მართლაც აწუხებდა. ფაქტობრივად, ამ გადაწყვეტილებით, მან საკუთარი ოჯახი უსახსროდ დატოვა და, მართალია, იყვნენ ადამიანები, რომლებიც ამბობდნენ, უკვე ნაშოვნი ჰქონდა სამსახური, თორემ ჟენევის ტბის სიმშვიდეს უმუშევრობაზე არ გაცვლიდაო, მაგრამ, ფაქტია, შეთავაზება საერთაშორისო ენერგეტიკული კომპანია „ტეტისის“ პრეზიდენტისგან მხოლოდ ორი თვის შემდეგ მიიღო და დათანხმდა. ეს იყო ძალიან საინტერესო საქმე, თუმცა არა ის, რასაც 11 წელი შეალია. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ კი საბოლოოდ გადაწყვიტა, პოლიტიკაში მოსულიყო და ამ ხელისუფლების ალტერნატიული ძალა შეექმნა.

გაგრძელება მე-6 გვერდზე

მე-5 გვერდიდან

ლევან მიქელაძის სიკვდილის საიდუმლო



11-წლიანი დიპლომატიური კარიერა და კავშირები

ლევან მიქელაძემ უნივერსიტეტში საზღვარგარეთის ეკონომიკური გეოგრაფიის ფაკულტეტი დაამთავრა, რომელიც იმ დროისთვის ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული გახლდათ. კარიერა გეოგრაფიის ინსტიტუტში დაიწყო, მოგვიანებით, მეცნიერებათა აკადემიაში დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების სწავლულ მდივნად მიიწვიეს და აკადემიკოს ერეკლე გამყრელიძის ხელმძღვანელობით მუშაობდა. ბატონი ერეკლე „ახლების“ ლიდერის, დავით გამყრელიძის მამა გახლავთ და, მოგვიანებით, ათწლეულების მეგობრობა გახდება პოლიტიკური პარტნიორობის ერთგვარი განმსაზღვრელი. საგარეო საქმეთა სამინისტროში მუშაობა კი მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა თედო ჯაფარიძემ შესთავაზა. ეს უკვე 1992-94 წლებია, როცა ბატონი თედო შევარდნაძის მრჩეველია ეროვნული უშიშროების საკითხებში და აყალიბებს ხუთკაციან ჯგუფს, რომელმაც სტრატეგიული მნიშვნელობის პროექტებზე უნდა იმუშაოს — ნავთობსადენი, დასავლეთ-აღმოსავლეთის კორიდორი და ა.შ., რომელსაც შევარდნაძე არავის აკარებდა. როგორც კულუარებში იხსენებენ, ეს იმდენად გასაიდუმლოებული საკითხები იყო, რომ თავად ზურაბ ჟვანიამაც კი 1998 წლამდე გარკვეული დეტალები არ იცოდა. ლევან მიქელაძესთან ერთად, მაშინ ჯგუფში მისი მეგობრებიც მიიწვიეს, ხოლო როცა აშშ-ში საელჩო გაიხსნა, თედო ჯაფარიძემ მთელი ჯგუფი წაიყვანა (გარდა არჩილ გეგეშიძისა, რომელსაც ოჯახური პრობლემები ჰქონდა). ამერიკაში ორი წელი იმუშავეს და მათთვის თითქმის ყველა კარი ღია იყო. გარდა იმისა, რომ თავად თედო ჯაფარიძეს საკმაოდ დიდი კავშირები ჰქონდა, აშკარად იგრძნობოდა „ბერლინის კედლის დამანგრევლისა“ და „დემოკრატი, გმირი შევის“ ფაქტორის უდიდესი გავლენა. სხვათაშორის, იმ წლების ურთიერთობებმა და იმ ფაქტმა, რომ შევარდნაძე ამ ადამიანებს განსაკუთრებით ენდობოდა, მოგვიანებით, ვაშინგტონში, საქართველოს ელჩის რანგში დაბრუნებულ მიქელაძეს, მუშაობა ბევრად გაუადვილა. თუმცა ლევან მიქელაძის დიპლომატიური მუშაობის საუკეთესო წლებად მაინც 1996 - 2002 წლები სახელდება, როცა იგი ავსტრიის რესპუბლიკაში საქართველოს დიპლომატიურ მისიას ხელმძღვანელობს და ეუთო-სა და ვენის საერთაშორისო ორგანიზაციებში საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩია. ეს გახლავთ ის პერიოდი, როცა, ეუთო-ს ეგიდით, იწყება მძიმე და ხანგრძლივი მოლაპარაკებების პროცესი სამხედრო ბაზებისა და ჯარების გაყვანის თაობაზე. როგორც დღეს მისი კოლეგა დიპლომატები იხსენებენ, **„ეს იყო ყველაზე მნიშვნელოვანი საქმე მისთვის და ქვეყნის მომავლისთვის. სწორედ აქ გამოჩნდა ლევან მიქელაძის მთელი შესაძლებლობები. შევარდნაძისა და მენაღარიშვილის უდიდეს მხარდაჭერასთან ერთად, სწორედ აქ გამოიყენა ყველაზე უკეთ შესანიშნავი აკადემიური განათლება და ის უდიდესი პიროვნული ხიბლი, რომელიც მტერსაც კი იძულებულს ხდიდა ემეგობრა, მისი პრინციპებისთვის პატივი ეცა, ამიტომაც ერთნაირი წარმატებით მუშაობდა ამერიკის, ევროპისა და რუსეთის ელჩებთან“.** ეს შრომა კი სტამბოლის ხელშეკრულებით დაგვირგვინდა, რომლის საფუძველზეც საქართველოდან გავიდა ახალქალაქის, ბათუმისა და ვაზიანის სამხედრო ბაზები.

ვარდების რევოლუციას უკვე აშშ-ში, კანადასა და მექსიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის რანგში შეხვდა. როგორც დღეს ირკვევა, ლევან მიქელაძე, რა თქმა უნდა, მომხრე იყო საქართველოში დემოკრატიული პროცესების განვითარებისა, არ მიესალმებოდა რევოლუციის გზით (თუნდაც ვარდების) ხელისუფლების ცვლილებას, თუმცა, როგორც ბევრი სხვა ჩინოვნიკი, ტრაგედიად ამას არასდროს აღიქვამდა. ახალმა ხელისუფლებამაც შესანიშნავად იცოდა მისი განწყობა, ამიტომაც მათ შორის ღია მტრობა არ ყოფილა, ცდილობდნენ, არ გაეღიზიანებინათ და, მაქსიმუმ, ნეიტრალური რეჟიმი შეენარჩუნებინათ. მიხეილ სააკაშვილიც პატივს სცემდა და ერთგვარი რიდიც კი ჰქონდა მისი. ამის მიზეზი კი მიქელაძის წარსულთან ერთად, ისიც გახლდათ, რომ სააკაშვილის ბებია და მიქელაძის დედა ბავშვობის მეგობრები ყოფილან. სხვათაშორის, ალექსი პეტრიაშვილი, რომელიც იმ პერიოდში აშშ-ს საელჩოში მუშაობდა იხსენებს, რომ **„სწორედ 2004 წელს აშშ-ში შედგა სააკაშვილის ყველაზე წარმატებული, გრანდიოზული ვიზიტი. საქართველოს საელჩომ ორგანიზება გაუკეთა საქართველოს პრეზიდენტისა და 5 მინისტრის 50-ზე მეტ შეხვედრას და სწორედ მას შემდეგ ავიდა სრულიად ახალ რანგში აშშ-საქართველოს პატრნიორული ურთიერთობა“.** იმ პერიოდის ქართული დიპლომატიის ყველაზე დიდი წარმატება კი „ათასწლეულის გამოწვევის პროგრამაში“ (მილენიუმი) იმ საქართველოს ჩართვა გახლდათ, რომელიც არც ერთ პარამეტრს არ აკმაყოფილებდა. საქართველოს ყველა დონის ხელისუფლებისა და აშშ-ში საქართველოს საელჩოს ერთობლივი მუშაობით, ეს მაინც მოხერხდა და ამ პროცესის ეპიცენტრი კვლავ ლევან მიქელაძე იყო.

„ვერსიის“ ინფორმაციით, ლევან მიქელაძე რევოლუციური სამეულიდან განსაკუთრებით ზურაბ ჟვანიასთან მეგობრობდა, რომელმაც, როგორც ჩანს, ყველაზე უკეთ იცოდა მისი ფასი და ეფერებოდა. თუმცა ყველაფერი სწორედ მაშინ შეიცვალა, როცა პრემიერ-მინისტრი ტრაგიკულად დაიღუპა. შეიცვალა სტილი. გაჩნდა პრობლემები ურთიერთობაში. რატომღაც გაჩნდა „ბრალდება“, რომ ლევან მიქელაძე აშშ-ს ინტერესებს ატარებდა და არა საქართველოსი. ამის მიღმა კი მხოლოდ ერთი ქვეტექსტი იკითხება — ვარდების ხელისუფლებას ლევან მიქელაძის ფაქტორი დიდ პრობლემებს უქმნიდა. ის ვერასდროს იქნებოდა ისეთი ჩინოვნიკი, როგორც მათ აწყობდათ. თუმცა, ლევანს რომ ისევე ვერ მოექცეოდნენ, რისთვისაც მათთვის მიუღებელი ბევრი სხვა ჩინოვნიკი გაიმეტეს, გადაწყვეტილებიდანაც დასტურდება — 2006 წელს მიქელაძე შვეიცარიაში საქართველოს სრულუფლებიან ელჩად გადაჰყავთ და, ფაქტობრივად, „პენსიაზე“ უშვებენ. ხელისუფლებამ ამით მის მიმართ საკუთარი პოზიცია გამოხატა — იცხოვრე მშვიდად, არ შეგეხებით. თუმცა 2007 წლის 7 ნოემბერს მიქელაძე თანამდებობიდან მიდის. ამ ფაქტთან დაკავშირებით ხელისუფლებას არც ერთი განცხადება არ გაუკეთებია. აშკარა გახდა, რომ მათ შორის „ცივი ომი“ დაიწყო.

საბედისწერო აპრილი

პოლიტიკაში მოსვლა 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ საბოლოოდ გადაწყვიტა. პრინციპული იყო და ახლობლებმა იცოდნენ, რომ კამათს აზრიც არ ჰქონდა, პოზიციას ვერავინ შეაცვლევინებდა. რა თქმა უნდა, მისთვის ბევრად კომფორტული იქნებოდა, საჯარო პოლიტიკაში არ ჩარეულიყო და ისე მოეხდინა გავლენა პროცესებზე, მაგრამ გადაწყვიტა, ირაკლი ალასანიას გვერდით ღიად დამდგარიყო. იგი ამბობდა, რომ თუ პროცესში უშუალოდ არ ხარ ჩართული, ვერასდროს შეძლებ, მაქსიმალური შედეგი მიიღო, მაქსიმალურ ინფორმაციას ფლობდეო. გადაწყვეტილება კი ასე ახსნა — **„ირაკლის ახლა ვერ მივატოვებ!“** პარტიის პრეზენტაციაზე ლიდერის წარდგენისას გამოჩნდა პასუხისმგებლობა, რომელსაც ამ არჩევანის გამო გრძნობდა: **„ირაკლი არ არის ლაჩარი და გამქცევი კაცი, თავგანწირულია თავისი სამშობლოსთვის და ეს მემკვიდრეობით აქვს მიღებული. მისი უნარი — ემოციების გვერდით გადადება და ცივი გონებით მუშაობა სახელმწიფო ინტერესებისთვის, დასაფასებელია. დღეს იგი პირველ ნაბიჯს დგამს პოლიტიკაში. მოდის სუფთა ხელებით და დარწმუნებული ვარ, ეს ხელები არასოდეს გაისვრება. დარწმუნებული ვარ, არასოდეს შემრცხვება ამ ნათქვამის და არ მომიწევს ჩემი სიტყვების უკან წაღება“.**

გადაწყვიტა, მის ირგვლივ გაეერთიანებინა ის გუნდი, რომელიც წლების მანძილზე „ერთ დიპლომატიურ ოჯახად“ ცხოვრობდა (ირაკლი ალასანია, მათგან განსხვავებით, ცოტა მოგვიანებით გაიცნო, როცა უშიშროების მინისტრის მოადგილე იყო). არც დავით გამყრელიძისა და დავით უსუფაშვილის დარწმუნება გასჭირვებია იმაში, რომ „ალიანსის“ გაკეთება აუცილებელია. კონსულტაციები მიდიოდა გიორგი და ლევან გაჩეჩილაძესთან, რომლებთანაც აწ გარდაცვლილი ძმა ქუცო მიქელაძე (იგი მოსკოვში მოკლეს) აკავშირებდა და განსაკუთრებული თბილი დამოკიდებულება ჰქონდა, ისინიც, როგორც ამბობენ, მას უდიდეს პატივს სცემდნენ და უჯერებდნენ. რადიკალურად შეცვლილი იყო „პარიზელი ქალბატონის იმიჯით“ საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე მოსული სალომე ზურაბიშვილის დამოკიდებულებაც ელჩყოფილის მიმართ, მიქელაძემ მხოლოდ 5 დღეში მოახერხა „სააკაშვილის ნებიერა დიპლომატისთვის“ რაღაც-რაღაცების ახსნა... მოკლედ, დღეს უკვე ყველა პროცესისა თუ კონსულტაციის მონაწილის გახსენება ძალიან შორს წაგვიყვანს. ფაქტი ერთია — როგორც უამრავ ადამიანთან საუბარში ირკვევა, მიქელაძე ცდილობდა, ყველა რესურსი გამოეყენებინა და ქართული პოლიტიკური სპექტრი და ამ პროცესში აქტიურად ჩართული საზოგადოება დაერწმუნებინა, რომ გაერთიანება უნდა მოხდეს ერთი ლიდერის გარშემო, სხვაგვარად გამარჯვების შანსი ნულის ტოლია. მისი პიროვნული ხიბლისა და დიპლომატიური გამოცდილების შემწეობით, პროცესი წარმატებით დაიწყო და დარწმუნებული იყო, რომ, ადრე თუ გვიან, ამას შეძლებდა. **როგორც ლევან მიქელაძის მეუღლე, ქალბატონი ლალი ჩიკვაიძე** იხსენებს, **„ლევანი იმ პერიოდში განსაკუთრებით ენერგიული და შემართული იყო, ვეღარ ვცნობდით“...** ამას მოჰყვა საბედისწერო აპრილი. თითქოს აპრილის აქციებზე არ უნდა ჩამოსულიყო, მაგრამ სრულიად მოულოდნელად კომპანიაში ერთთვიანი თავისუფალი შუალედი გამოუჩნდა. „ალიანსმა“ აქციებში ჩართვა გადაწყვიტა და არ გაუპროტესტებია. უდიდეს პასუხისმგებლობას გრძნობდა და თითქოს ნერვიულობდა კიდეც, თუმცა არასდროს ამჟღავნებდა ემოციას. ალიანსელები იხსენებენ, რომ, სააღდგომოდ, მორიდებით ითხოვა, რამდენიმე დღით ჟენევაში წასვლა, რადგან იცოდა, რომ იქ მთელი ოჯახი იკრიბებოდა. უფროსი ქალიშვილი თინიკო ამერიკაში ცხოვრობდა და მეუღლესთან, სერგი ნაკაიძესთან და პატარა ნიკოლოზთან ერთად აპირებდა დედასთან და დასთან, მარიკასთან, სტუმრობას. მთელი ოჯახი კი ამის შემდეგ თბილისში ბრუნდებოდა. ეს იყო ბოლო 15 წლის მანძილზე პირველი და უკანასკნელი შემთხვევა, როცა მიქელაძეების ოჯახი ერთად შეიკრიბა. თუმცა ერთად ყოფნის სიხარული არ დასცალდათ — 21 აპრილს ტელევიზიით შეიტყვეს, რომ მათ ბინაში, ცაბაძის ქუჩაზე ვიღაც შევიდა. დიასახლისი ქალბატონი სასტიკად სცემა, გაკოჭა და ისე რომ არაფერი წაუღია, წავიდა. ლევან მიქელაძე ამ ფაქტმა შეაშფოთა, თუმცა ქალბატონი ლალის თქმით, გარეგნულად არაფერს იმჩნევდა. საერთოდ, ოჯახის წევრებთან ემოციებს არასდროს გამოხატავდა, მაგრამ **ალექსი პეტრიაშვილი** „ვერსიასთან“ საუბარში აცხადებს, რომ **„თავისი ბუნებიდან გამომდინარე, ორი რაღაცით იყო ძალიან შეშფოთებული. პირველი — იქ ძარცვა-ყაჩაღობა არ მომხდარა, არადა, ზემოდანაც კი ისეთი ნივთები ეწყო, ხელებაცახცახებული მძარცველი აუცილებლად წაიღებდა... ამიტომაც საფუძვლიანი ეჭვი გაჩნდა, რომ ეს მას აფრთხილებდნენ — ნუ აქტიურობ, ჩვენ ყველგან შეიძლება შემოვიდეთ. ამბობდა, შეურაცხყოფილი ვარო... და მეორე — უფრო მეტად ის ანერვიულებდა, რომ ოჯახი ჩამოჰყავდა და დაუცველად გრძნობდა თავს...“**

23 აპრილს მიქელაძეების ოჯახი თბილისში დაბრუნდა. ცხოვრება ჩვეულ რიტმში გაგრძელდა. ისიც აქტიურ პოლიტიკურ პროცესში ჩაერთო. 26 აპრილიც ერთი ჩვეულებრივი დღე იყო. ჰქონდა შეხვედრები. ოჯახის წევრებთან ერთად სტუმრადაც იყო. რადიოინტერვიუც მისცა. საღამოს შეხვდა თბილისში ჩამოსულ მეგობარს კოტე ზალდასტანიშვილს და ღამის 4-ის ნახევარზე შინ დაბრუნდა. ქალბატონი ლალი იხსენებს, რომ ისაუბრეს და დასაძინებლად დაწვნენ. თუმცა დილით მეუღლე სასტუმრო ოთახში სავარძელში ნახა, ხელებჩამოყრილი და მშვიდად „ჩაძინებული“. კომპიუტერთან იჯდა, სათვალე ეკეთა. ჯერ კიდევ თბილი იყო.

სკანდალური ვერსიები

1. ლევან მიქელაძე გულის მწვავე იშემიური ინფარქტის შედეგად ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვალა.

ჯერჯერობით, ეს ვერსია ყველაზე საფუძვლიანია. ყველა ექსპერტი და ექიმი ადასტურებს, რომ ასეთი პრეცედენტები არსებობს, თუნდაც პაციენტი არ უჩიოდეს გულისა თუ სხვა ქრონიკულ დაავადებებს, შესაძლებელია, განვითარდეს მოციმციმე არითმია, რაც ლეტალური შედეგით მთავრდება. მითუმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ძალიან ბევრს ეწეოდა, არ ვარჯიშობდა, უეცრად შეიცვალა გარემო — ანუ აქტიური დიპლომატიური სამსახურიდან შედარებით პასიურ სამუშაო რეჟიმში გადავიდა. თან ამას დავუმატოთ პოლიტიკური ფონი, რომელიც ქვეცნობიერად ადამიანში გარკვეულ სტრესს იწვევს, ამ ვერსიას ნამდვილად აქვს არსებობის საფუძველი.

2. ლევან მიქელაძე მოკლეს — ისტორიაში არსებობს უამრავი ფაქტი, როდესაც მსხვერპლთან უშუალო შეხების გარეშე სპეცსამსახურების მიერ კარგად აპრობირებული საშუალებებით ხელოვნურად გამოუწვევიათ გარკვეული ტიპის დაავადებები (სხვათაშორის, ამგვარი ეჭვი ბადრი პატარკაციშვილის ასევე გულის იშემიური ინფარქტით გარდაცვალების შემთხვევაშიც არსებობდა). ამის მაგალითად თუნდაც ვიქტორ იუშჩენკოს ფაქტი კმარა, რომლის შედეგი სახეზეა და სასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს. ამ ეჭვის გასაბათილებლად საუკეთესო არგუმენტი სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა გახლავთ, რომელიც, „ვერსიის“ ინფორმაციით, მხოლოდ პირველად დონეზე არსებობს. როგორც გავარკვიეთ, 26 აპრილს ლევან მიქელაძის გარდაცვალების ფაქტზე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით და დაინიშნა სასამართლოსამედიცინო ექსპერტიზა (როგორც იურისტები განმარტავენ, ეს წმინდა ფორმალური მხარეა, რადგან მკვლელობის მუხლით საქმეს ვერ აღძრავდნენ გარემოებათა უქონლობის გამო, არადა, სამედიცინო ექსპერტიზა უნდა ჩატარებულიყო, სხვა რაიმე საფუძველი ამ მუხლით საქმის აღძვრას არ აქვსო, — მ.ფ.). იმ დღესვე საქმეში ჩაერთო ადვოკატი **შალვა შავგულიძე**, რომელმაც დამატებით შინაგანი ორგანოების ქიმიური ანალიზის ჩატარება მოითხოვა. ამ ფაქტს შალვა შავგულიძეც გვიდასტურებს და აცხადებს: **„ჩვენ მოვითხოვეთ, დამატებით გამოკვლევა მომხდარიყო შინაგანი ორგანოების მოწამვლაზე, რათა დადგენილიყო, ხომ არ იყო რაიმე ტიპის ქიმიური ზემოქმედება ლევან მიქელაძის სიცოცხლის პერიოდში. გვამის პირველი სასამართლო-სამედიცინო დასკვნის თანახმად, სახეზე გვაქვს მწვავე იშემიური ინფარქტი და ამის შედეგია**

ლევან მიქელაძის სიკვდილის საიდუმლო

მიქელაძეების ოჯახი ჟენევაში სააღდგომოდ შეიკრიბა

გარდაცვალება. ხოლო შინაგანი ორგანოების ქიმიური ექსპერტიზის შედეგები მოწამვლაზე ჯერჯერობით დაზარალებული მხარისთვის არ მოუწოდებიათ. რამდენჯერმე შევეხმიანეთ და გვპასუხობენ, როგორც კი მზად იქნება, გაცნობებთო. სწორედ ამ დასკვნას ველოდებით, რადგან ამის შემდეგ გეძლევა უფლება ან წამოაყენო პრეტენზია, ან განმეორებითი ექსპერტიზა მოითხოვო ანდა თავად ჩაატარო ალტერნატიული ექსპერტიზა“.

როგორც გავარკვიეთ, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ბიურო, ამ მხრივ, კანონს სულაც არ არღვევს — ამ ტიპის საქმეებზე ექსპერტიზის ჩატარების კანონით დადგენილი ვადები არ არსებობს და გამოძიება შეიძლება გაგრძელდეს ხანდაზმულობის ვადის გასვლამდე (6 წელი). თუმცა ევროპული სტანდარტით, ექსპერტიზის დასკვნა უნდა დაიდოს გონივრულ ვადაში ანუ 20 დღეში. თუმცა თუნდაც ის ფაქტი, რომ პირველადი პასუხი სასწრაფოდ გადაეცა დაზარალებულს, ხოლო მათი მოთხოვნით დანიშნული ქიმიური ანალიზის საბოლოო დასკვნა ერთი წლის თავზეც კი უცნობია, გარკვეულ ეჭვებს ნამდვილად აღძრავს. არადა, ლევან მიქელაძე რომ ჯანმრთელი ადამიანი იყო და გული არ აწუხებდა, ამას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ 2008 წლის აგვისტოში ცოლ-ქმარმა მიქელაძეებმა სადაზღვევო კომპანია შეიცვალეს და ამის გამო სრული გამოკვლევა ჟენევაში ჩაიტარეს, სადაც დასკვნა იყო ცალსახა — ჯანმრთელი. მართალია, მედიცინაში არსებობს ადამიანის გარდაცვალების ამგვარი პრეცედენტები, მაგრამ არსებობს იმის პრეცედენტებიც, როცა, ფიზიკური შეხების გარეშე, ხდება გულის ინფარქტის ან სხვა ტიპის დაავადებების ხელოვნური გამოწვევა, თუნდაც ქიმიური მოწამვლის გზით. მითუმეტეს, „ვერსიის“ ინფორმაციით, ლევან მიქელაძის პირადი ნივთები (კბილის ჯაგრისი, სათვალე, კომპიუტერი და ა.შ.) ექსპერტიზაზე არ გაუგზავნიათ. ამ ეჭვს ისიც ამძაფრებს, რომ 21 აპრილს მიქელაძეების საცხოვრებელ ბინაში ყაჩაღური თავდასხმა მოხდა. იქიდან არაფერი წაუღიათ, თუმცა დატოვეს თუ არა რაიმე უცნაურმა ყაჩაღებმა, ჯერჯერობით კითხვის ნიშნის ქვეშ რჩება...

3. ინსცენირებული ყაჩაღობა და გარდაცვალება ფსიქოლოგიური ტერორის შედეგად.

21 აპრილს ლევან მიქელაძის ოჯახს ჟენევაში შეატყობინეს მათ ბინაში, ცაბაძის №9-ში, მომხდარი ყაჩაღური თავდასხმის შესახებ. შინ მხოლოდ დამხმარე ქალი იმყოფებოდა, რომელმაც მძარცველებს თავად გაუღო კარი. ქალბატონს მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა, ბინიდან არაფერი წაუღიათ, რადგან, ოფიციალური ვერსიით, ქალმა გამოქცევა და მშველელის დაძახება მოასწრო. 22 აპრილს დააკავეს ვინმე თეიმურაზ ქარჩავა, რომელმაც დანაშაული აღიარა. თუმცა ადვოკატი შალვა შავგულიძე დღეს უკვე მთელი პასუხისმგებლობით აცხადებს, რომ 21 აპრილის ფაქტი იყო არა სტანდარტული ყაჩაღობა, არამედ ყაჩაღობის ინსცენირება. საქმის საბოლოო შედეგი კი ასეთია: **„ფაქტზე პასუხისგებაში მიცემულ იქნენ თეიმურაზ ქარჩავა და ბორის თორდია. ქარჩავას ბრალი წაუყენეს მიქელაძის დამხმარე ქალზე, ვალენტინა ტატინსკაიაზე ყაჩაღურ თავდასხმასა და ნარკოტიკული საშუალებების ზემოქმედების ქვეშ განმეორებით ყოფნის გამო (პირველადი ადმინისტრაციული ჯარიმის შემდეგ. ქარჩავა ნარკოტიკების მომხმარებელია, არის პროგრამაში და მრავალჯერ არის ამ დანაშაულისთვის ნასამართლევი). ბორის თორდიას კი ბრალად ედებოდა დანაშაულის დაფარვა და ნარკოტიკების განმეორებითი ზემოქმედების ქვეშ ყოფნა ასევე ადმინისტრაციული ჯარიმის შემდეგ. სწორედ იგი ახლდა ქარჩავას ყაჩაღური თავდასხმის მომენტში და მანქანაში ელოდებოდა. საბოლოოდ, ქარჩავას დაუდასტურდა ბრალი და მიესაჯა 11 წელი და 6 თვე. თორდიას არ დაუდასტურდა დანაშაულის დაფარვა, საქმეში არ აღმოჩნდა საკმარისი მტკიცებულება იმისა, რომ მან იცოდა, რისთვის მიიყვანა ქარჩავა ცაბაძის №9-ში. მას მიესაჯა მხოლოდ ერთი წელი — ნარკოტიკების განმეორებითი მოხმარება ადმინისტრაციული ჯარიმის შემდეგ“.**

თუმცა, სისხლის სამართლის საქმეში რამდენიმე საინტერესო დეტალია, რომელიც აშკარად იწვევს გარკვეულ ეჭვებს და რასაც დაზარლებულების ინტერესების დამცველი ადვოკატი შავგულიძეც გვიდასტურებს: **„ეს ფაქტი ნამდვილად არ ჰგავს ყაჩაღობას და იქმნება შთაბეჭდილება, რომ რაღაც სულ სხვა მიზნით იყვნენ იქ მისული ან საკუთარი ინიციატივით ან ვინმეს დავალებით. ამაზე მიუთითებს საქმის მრავალი გარემოება და მისი წარმართვა. თავდაპირველად, როცა ქარჩავამ მისცა აღიარებითი ჩვენება, რომელიც ტელევიზიითაც გადაიცა, ამბობდა, რომ „აბხოდზე“ იყო და არ იცოდა, სად შედიოდა, ანუ ყველა კარზე რეკავდა და სადაც გაუღებდნენ, იქ შევიდოდა ნადავლის წასაღებად, ასე მოხვდა ამ ბინაში. საქმე ისაა, რომ ეს ვერსია შემდეგ გამოძიებაშივე შეიცვალა და საქმე სულ სხვა კუთხით წარიმართა. საქმის მასალებით დადგინდა, რომ თეიმურაზ ქარჩავამ 21 აპრილს 15:00 საათზე აღმაშენებლის გამზირზე გააჩერა ტაქსი, მივიდა ცაბაძის 9 ნომერში, შევიდა ეზოში, მიქელაძეების სადარბაზოსთან გააჩერებინა მანქანა, შევიდა სადარბაზოში და 5 წუთის შემდეგ გამოვიდა. იგივე მანქანით წავიდა ვერაზე რაღაც შენობაში, შემდეგ ავიდა ხილიანზე ერთ-ერთ კორპუსში და იქიდან უკვე თორდიას მანქანით დაბრუნდა ცაბაძის ქუჩაზე, დაახლოებით 18 საათსა და 30 წუთისთვის. მანქანა ამჯერად ქუჩის მხრიდან გააჩერეს, ეზოში აღარ შეიყვანეს. ორივენი კი გადმოვიდნენ მანქანიდან, მაგრამ ბინაში მარტო ქარჩავა შევიდა. თორდია დაბრუნდა და მანქანაში ელოდებოდა. აქ ყოველგვარი „აბხოდი“ გამორიცხულია, რადგან ყაჩაღი ერთხელ უკვე იყო 5 საათზე ამ ადგილას და საათნახევარში ისევ დაბრუნდა კონკრეტულად იმ ბინაში შესასვლელად. საინტერესო ისაა, რომ გამოძიება ფარავდა ამ ეზოში მისი პირველი მისვლის ფაქტს მიუხედავად იმისა, რომ ჰქონდა მეზობლების ჩვენებები. 2-3 მეზობელი და ასევე ტაქსის მძღოლი ადასტურებს, რომ ეს მანქანა და ეს პიროვნება ნამდვილად იყო 5 საათზე ამ ეზოში და 7 საათისთვის მეორედ მივიდა. ეს ფაქტი არც ბრალის დადგენილებაში და არც საბრალდებო დასკვნაში არ არისა. მეტიც, გამოძიება საპატრულო პოლიციისგან ითხოვს, ამოღებულ იქნეს ცაბაძის ქუჩაზე დამონტაჟებული ყველა ვიდეოთვალის მასალა 18 სთ 55 წთ-დან 19 საათამდე დროის მონაკვეთში ანუ 5 წუთიან ვიდეოჩანაწერი. ეს ის დროა, როცა მანქანა ტოვებს ცაბაძის ქუჩას და ვიდეომასალაზე ჩანს მისი ნომერი. საინტერესოა, რატომ არ მოითხოვა მეზობლების ჩვენების მიხედვით, ჩანაწერი 17 საათიდან 19 საათამდე ანდა საიდან იცოდნენ, რომ სწორედ ამ 5 წუთში გამოჩნდებოდა ყაჩაღების მანქანის ნომრები?“**

სისხლის სამართლის საქმეში არის კიდევ უამრავი საეჭვო დეტალი, თუმცა ამ ეტაპზე, ადვოკატი რაიმე კონკრეტული დასკვნების გაკეთებისგან თავს იკავებს და აცხადებს: **„გამოძიების უამრავი ქმედება ეჭვს ბადებს, მაგრამ ამ ეტაპზე შემიძლია მთელი პასუხისმგებლობით განვაცხადო — ყაჩაღობის ფაქტზე წინასწარი გამოძიება ჩატარდა არასრულად და გაყალბებით. გამოძიებამ არ დაურთო საქმეს მოპოვებული მტკიცებულებები, დამალა დანაშაულის ფაბულის ნაწილი (პირველი მისვლა). არ აღწერს სრულფასოვნად ფაქტებს. ეჭვს ბადებს დანაშაულის განხორციელების ფორმაც — შედის ბინაში, ქალბატონს ეძლევა გარეთ გამოსვლის საშუალება, გადმოაქოთა კარადები, მაგრამ ბინიდან არაფერი მიაქვს. არის მოწმე, ტაქსის მძღოლი, მისი ჩვენების ადგილზე შემოწმების ვიდეომასალაც არ იყო საქმეზე დართული. ადგილზე მისული კრიმინალისტები იქცევიან აბსოლუტურად გაუგებრად — წაშალეს სისხლის კვალი კედელზე მას შემდეგ, რაც ანაწმენდი აიღეს, თუმცა არც ეს ანაწმენდი, არც აბაზანიდან აღებული თითის ანაბეჭდები, არც თოკები, რითაც ხელები ჰქონდა შეკრული ქალს, არც ერთი ნივთიერი მტკიცება არ იყო დართული საქმეზე, მეტიც საქმეში არ არის 45 ფოტო, რომელიც შემთხვევის ადგილას გადაიღეს. ეს გარემოებები უფლებას მაძლევს ვთქვა, რომ საქმე არა გვაქვს რეალურად ყაჩაღობის ფაქტთან. თითქოს ეს ფაქტი იყო საჭირო იმისთვის, რომ ლევან მიქელაძის ბინაზე ყაჩაღობის ინსცენირება მომხდარიყო. ქარჩავა, მოქმედებდა ვიღაცის დავალებით, მაგრამ რა დავალებით და რა მიზნით, ამაზე ჯერჯერობით ვერაფერს მოგახსენებთ.“** თუკი ქარჩავა მართლაც ვიღაცის დავალებით მოქმედებდა და ეს იყო მიზანმიმართული, დაგეგმილი ყაჩაღობის ინსცენირება, კვალი აშკარად შსს-მდე მიდის. როგორც წესი, მსგავსი დავალებების შესასრულებლად სწორედ ქარჩავა-თორდიას ტიპის ადამიანებს იყენებენ, ძალიან მარტივია ადმინისტრაციული სასჯელის ქვეშ მყოფი ნარკომანის ჯიბეში დიდი დოზა სუბუტექსი ან ჰეროინი აღმოჩნდეს და იგი უკვე 11-წლიან სასჯელს კი არ მოიხდის, ნარკობარიგობისთვის სამუდამო პატიმრობაში უკრავენ თავს. 11 წელიც, ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში, დიდი სასჯელია და 23 აპრილს ლევან მიქელაძის უეცარმა გარდაცვალებამ გამოიწვია... თუმცა ქარჩავასთვის, ალბათ, ესეც ბაირამობად შეიძლება ჩაითვალოს... ყაჩაღობის ინსცენირების მიზანი კი, სავარაუდოდ, რამდენიმე შეიძლება ყოფილიყო — ბინაში რაიმე მომწამვლელი ნივთიერების ან ტექნიკის დატოვება, ან ფსიქოლოგიური ზეწოლა ლევან მიქელაძეზე (2008 წლის აპრილი მდიდარია ამგვარი ფაქტებით ბიზნესმენები ვახტანგ ლაღიძის სასტიკი ცემით დააშინეს, სტუდენტები, ბნელ კუთხეში ჩასაფრებით და კარვებში გადაღებული ნარკოვაჭრობის კადრებით და ა.შ.) მიქელაძეების ოჯახზე ამ ფაქტმა რომ აშკარად უარყოფითად იმოქმედა, ესეც ბუნებრივია, რადგან არათუ მათ ბინაში, სადარბაზოშიც კი ქურდობის არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა. მითუმეტეს, ორმაგი შიშის ფაქტორი გაჩნდა, მიქელაძის პოლიტიკაში მოსვლისა და საპროტესტო აქციების ფონზე...

4. ვინ ისარგებლა და ვინ დაზარალდა ლევან მიქელაძის განეიტრალებით?

ალბათ გიფიქრიათ, რა მოხდებოდა, მერაბ კოსტავა 1989 წლის 13 ოქტომბერს კი არა, 1988 წლის ნოემბერში რომ მოეკლათ. იქნებოდა კი ის „სიგიჟეები“, რომელიც ეროვნული მოძრაობის სახელით, ხელისუფლებაში მოსულმა გარკვეულმა ჯგუფმა ჩაიდინა, იქნებოდა კარვები პარლამენტის წინ, კარვის ქალები სადგისებით რომ დასდევდნენ ოპოზიციას და კიდევ უამრავი რამ, დღეს ზოგიერთი ოპოზიციონერი რომ ხელმძღვანელობდა და აღარ ახსოვს?! სულო ცოდვილო, არასდროს მივცემ თავს უფლებას, ლევან მიქელაძე მერაბ კოსტავას გავუტოლო (არც თავად მიქელაძე იკადრებდა ამას), უბრალოდ, ვითარება იყო იდენტური — კარვები რუსთაველზე, თავისი კარვისა თუ საკნის ქალებკაცებითა და მთელი მისი სანიტარულ-ჰიგიენური მომხიბვლელობით, „მაესტროს“ საკნიდან „დინამოს“ სტადიონამდე ბზებით მოფენილი გზა და ახალი კერპი, რომელიც 26 მაისს გია გაჩეჩილაძის სახით დაიბადა. დაიბადა და მაშინვე თავს უფლება მისცა, საქართველოს დროშაზე დავლური ეცეკვა. იმ დროშაზე, რომლისთვისაც 2008 წლის აგვისტოს ომში ქართველი ბიჭები ჩაიხოცნენ, თავად კი ამ დროს „ეროვნული ფაღარათით“ შეპყრობილი, სად იყო, კაცმა არ იცის?!

26 აპრილს ლევან მიქელაძე გარდაიცვალა... 26 აპრილიდან 26 მაისამდე განვლილ პროცესს თუ გადავხედავთ, რჩება შთაბეჭდილება, რომ ოპოზიცია „სიგიჟის“ პიკს აღწევს და ჭკუის დამრიგებელი აღარ ჰყავს. შეიძლება ეს ჩემი სუბიექტური შეხედულებაა, თუმცა როცა ვერ ვიღებ პასუხს კითხვებზე, ვვარაუდობ, რომ ის პიროვნება, რომელსაც პასუხი ჰქონდა, დღეს აღარ არის. თუკი ლევან მიქელაძე ოპოზიციის გამაერთიანებელი ფიგურა იყო, მაშინ ნათელია, რომ 11-წლიანი დიპლომატიური სამსახურის გამო, სპეცსამსახურებს იგი აუცილებლად შესწავლილი ეყოლებოდათ და ისიც შესანიშნავად იცოდნენ, ვისი მოშორება გამოიწვევდა იმ ქაოსს, რაც მივიღეთ. თუ იმასაც გავითვალისწინეთ, რომ დღემდე ვერავინ მპასუხობს კითხვაზე — საიდან მოვიდა აპრილის აქციების დაფინანსება, შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ გარკვეული ფინანსური წრეებიც მხოლოდ მიქელაძეს ენდობოდნენ... მისი გარდაცვალებით ოპოზიცია რომ აშკარად დაიბნა, ფაქტია. დროებით განეიტრალდა „ალიანსიც“. სხვათაშორის ამის შედეგია ირაკლი ალასანიას გაუთვლელი მოქმედებებიც ჭადრაკის სასახლით რომ დაგვირგვინდა, თუმცა მის „წამქეზებლებს“ სიცოცხლეში ლევან მიქელაძე, გარკვეული ქმედებები გამო ხშირად რომ „ტუქსავდა“, კულუარებში ამასაც არ მალავენ! ვერ გეტყვით, რამდენად უკავშირდებოდა ამ პროცესს გააქტიურებული ე.წ. ნოღაიდელის ალიანსი, მაგრამ ფაქტია, აპრილის აქციებში, ზურაბს „იმელის“ იქითაც კი არ უშვებდნენ, შემდეგ ოპოზიციის ლიდერად მოგვევლინა და მის გვერდით ისეთივე შემართებით იდგა კობა დავითაშვილი და ეხვეწება ალექსანდრე ებრალიძეს „გახდი ჩემი გულის პრეზიდენტიო“, როგორ გულდამწვარიც ლევან მიქელაძეს „დასტიროდა“ 26 აპრილის მიტინგზე. ისე, საინტერესოა, როდის იყო გულწრფელი ოპოზიცია, როცა საკაშვილთან ერთად პროდასავლური დროშის ქვეშ ვარდების რევოლუციებს აწყობდა, როცა აპრილის აქციებზე უცნობთან ერთად გულში მუშტს იბრახუნებდნენ — არც რუსეთი და არც აშშ, ილიას გზით მივდივართ, პროქართული სახელმწიფო გვინდაო თუ დღეს, როცა ბიძინა ივანიშვილთან ერთად „ოცნების“ კოშკებს ხელს უგებენ, „ოქროს კოშკებს“ კი საკუთარ ოჯახსა და ნათესავებს? საინტერესოა, იკადრებდა თუ არა ბევრ რამეს ლევან მიქელაძე ანდა რამდენის უფლებას მისცემდა საკუთარ გუნდს?!

ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ, ჯერჯერობით ყველა ფაქტი გვაქვს დავასკვნათ — ლევან მიქელაძე მოიშორეს ან ფიზიკური ზემოქმედებით (სანამ ექსპერტიზის საბოლოო დასკვნა არ იქნება, ამ ვერსიის უარყოფა არ შეიძლება) ანდა ფსიქოლოგიური ზეწოლის გზით, ხოლო მისი განეიტრალებით ისარგებლა ხელისუფლებამ ან რომელიღაცა ქვეყნის სპეცსამსახურმა, ან შსს-მ რომელიმე ქვეყნის სპეცსამსახურის დაკვეთით. ვიღაცას სჭირდებოდა მოეგო დრო, რათა ძალები მოეკრიბა და ის პროდასავლური ცენტრი დაესუსტებინა, რომელიც შეიქმნა და რომელსაც აშკარა მხარდაჭერა ექნებოდა საერთაშორისო საზოგადოებისგან, თუკი ქართული ოპოზიცია გონიერ ლიდერს აირჩევდა, რაც დადასტურდა კიდევ 1 ოქტომბრის არჩევნებით!

„საფოსტო კავშირის შესახებ“ კანონის სკანდალური დეტალები

რას ითხოვენ ექსპრესგადაზიდვების საერთაშორისო კომპანიები საქართველოს მთავრობისგან და რა შემთხვევაში დატოვებენ ისინი ქართულ ბაზარს?

მაია მიშელაძე
593-51-90-12

ხუთშაბათს, 1 მაისს, საქართველოს ექსპრესგადაზიდვების ბაზარზე მოქმედმა 45-მა საერთაშორისო კომპანიამ ორი საათით, 10.00-დან 12.00 საათამდე, პროტესტის ნიშნად მუშაობა შეწყვეტა. გამაფრთხილებელი აქციის საშუალებით, კომპანიების ხელმძღვანელობამ მთავრობას მიმართა, რათა „საფოსტო კავშირის შესახებ“ საქართველოს კანონპროექტის დაჩქარებული წესით მიღება არ დაუშვას. „ვერსიასთან“ ინტერვიუში, ექსპრესგადაზიდვების კომპანია TNT-ს გენერალურმა დირექტორმა, ნინო მენთეშაშვილმა აღნიშნა, რომ პარლამენტი ჩქარობს, მიიღოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ ინიცირებული კანონპროექტი, რომელიც მხოლოდ ერთ კომპანიაზე — „საქართველოს ფოსტაზეა“ მორგებული. ამ უკანასკნელისგან კი, საფოსტო გადაზიდვების ბაზარზე, მსხვილ მონოპოლისტს ქმნიან. ნინო მენთეშაშვილმა „ვერსიას“ განუცხადა, რომ, თუ პარლამენტი „საფოსტო კავშირის შესახებ“ კანონს ამ სახით მიიღებს, 45-ვე საერთაშორისო კომპანია საქართველოს ბაზარს დატოვებს!

— კანონპროექტის ინიციატორები აცხადებენ, რომ აჟიოტაჟს ხელოვნურად ქმნით და კანონში გასაპროტესტებელი არაფერი წერია.

— დიახ, ჩვენზე ამბობენ, რომ უნივერსალური მომსახურების არსებობას ვაპროტესტებთ, რაც ტყუილია. ხელისუფლება ნუ დაარქმევს უნივერსალურ მომსახურებას ყველაფერს, ლამის „პიცის“ დატარებასაც კი. „საქართველოს ფოსტას“ უნივერსალური მომსახურების უფლება უნდა ჰქონდეს, ოღონდ ყველა დანარჩენი სერვისისგან უნდა გაიმიჯნოს. „საფოსტო კავშირის შესახებ“ კანონის მიღება იმიტომ უნდათ, ქვეყანამ უნივერსალური საფოსტო სერვისი შემოიღოს. ამგვარი მომსახურება მომხმარებლის უფლებაა, რათა მინიმალური საბაზისო წერილი სასურველ ადგილზე გაგზავნოს. საბაზისო წერილი სუფთა პროდუქტია, რომელიც ზედმეტი სერვისებით დახუნძლული არ არის. უნივერსალური მომსახურების ვალდებულება ქვეყანას აქვს, მაგრამ არ შეიძლება, კურიერის მომსახურების ვალდებულებაც ჰქონდეს. არც მაინცდამაინც 1-2 დღეში უნდა მიიტანოს წერილი ადრესატამდე — ვადა 2 კვირაა. კანონპროექტის მიხედვით კი, უნივერსალურ მომსახურებაში შედის კურიერული მომსახურება და დაჩქარებული სერვისი. ანუ, სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, რომ კურიერის გამოძახება შეძლოთ, წერილიც მხოლოდ 2 დღეში მიიღოთ. თან, იმის ნაცვლად, უნივერსალურ მომსახურებაში მხოლოდ 50-გრამიანი წერილის გაგზავნა შედიოდეს, კანონში, ამ მომსახურებაში, 20 კგ-მდე ამანათების მიღება-გაგზავნაცაა დამატებული. მეტიც, შემოღებულია რეზერვირებული სერვისიც. ანუ, ეკონომიკის სამინისტრო გვეუბნება, „საქართველოს ფოსტა“ კარგი კომპანიაა, საკუთარ თავზე აიღო სახელმწიფოს ვალდებულება, უნივერსალურ მომსახურებას სთავაზობს ყველას, ამიტომ მას კომპენსაცია სჭირდებაო. „საქართველოს ფოსტამ“ რომ იარსებოს, 30 კგ-მდე წონის ყველანაირი ამანათის მომსახურებასაც სთავაზობენ. 30 კგ-მდე ამანათის მომსახურებას რეზერვირებული სერვისი ეწოდება. სახელმწიფომ ეს მომსახურება „საქართველოს ფოსტას“ დაურეზერვა. მას სხვა კომპანია ვეღარ განახორციელებს. თუ სურვილი გაგვიჩნდება, ეს მომსახურება გვქონდეს, „საქართველოს ფოსტას“ გარკვეული საფასური უნდა გადავუხადოთ.

— ასე, „საქართველოს ფოსტა“ ბაზრის მონოპოლისტი ხომ ხდება, რომელსაც კონკურენტმა კომპანიებმა ხარკი უნდა გადაუხადონ?

— დიახ, ხარკი უნდა გადავუხადოთ ფოსტას. კანონპროექტში ეს შავით თეთრზე წერია. თუ ასე არ მოვიქცევით, არ გვაქვს უფლება, 30 კგ-მდე წერილები და ამანათები გავგზავნოთ ან მივიღოთ. ამასთან, უნივერსალურ მომსახურებას ექნება თავისი ტარიფი. ზოგადად, ეს ტარიფი შედგება თვითღირებულებისგან, მაგრამ კანონში მას „გონივრული მოგებაც“ ემატება. ეს ნიშნავს, უნივერსალური მომსახურების სახით, კანონპროექტის ავტორებმა კომერციული პროდუქტი შექმნეს, რომლითაც „საქართველოს ფოსტა“ ფულს იშოვის. ფოსტას დამატებით რეზერვსაც აძლევენ და ბაზრის მსხვილ მონოპოლისტად აყალიბებენ.

— 30 კგ-მდე ამანათის გასაგზავნად, „საქართველოს ფოსტას“ რა თანხა უნდა გადაუხადოთ?

— ტარიფს „საქართველოს ფოსტა“ დაადგენს და წარუდგენს მარეგულირებელს. ამ შემთხვევაშიც მონოპოლისტი გამოდის, რადგან რაც უნდა, იმ თანხას დაადგენს.

— ფოსტისთვის ხარკის გადახდით გამო, იძულებული გახდებით, სერვისი გააძვიროთ, მომხმარებელი კი პირდაპირ „საქართველოს ფოსტას“ დაუკავშირდება. გამოდის, ბაზარზეც ვეღარ დარჩებით?

— ჩვენ ვართ საერთაშორისო კომპანიის წარმომადგენლობა საქართველოში. TNT-ს ხელმძღვანელობა საქართველოს მთავრობას ეუბნება, თუ ამ კანონპროექტს მიიღებთ, 25-წლიანი თანამშრომლობის მიუხედავად, სხვა პარტნიორი მოძებნეთო. შესაბამისად, TNT მუშაობას შეწყვეტს, რადგან არც ერთ ქვეყანაში, სადაც ეს კომპანია მუშაობს, სახელმწიფო ფოსტა მისი პარტნიორი არ არის. TNT თავის ელექტრონულ სისტემებში არც „საქართველოს ფოსტას“ დაუშვებს და არც სხვა კომპანიას, რადგან ფოსტის კი არა, საკუთარ მომსახურებას ვყიდით. ზუსტად იგივე სქემაა DHL-ში, FedEx-ში, UPS-სა და 40-მდე სხვა კომპანიაში, რომელთა სახელითაც გესაუბრებით. არცერთ საერთაშორისო ექსპრესგადამზიდავ კომპანიას, არც ერთ ქვეყანაში მუშაობა არ შეუჩერება. ერთადერთი პრეცედენტი დაფიქსირდა თურქმენეთში, სადაც თურქმენბაშმა კომპანია „თურქმენფოსტა“ ბაზრის მონოპოლისტად შექმნა, რის გამოც TNT-მ, DHL-მა, FedEx-მა და UPS-მა ბაზარი დატოვეს. ეს ქვეყნის ისეთი დისკრედიტაციაა, რასაც საერთაშორისო სკანდალიც მოჰყვა — მსოფლიოში ცნობილი ბრენდების მიერ ქვეყნის დატოვება სიგნალია, რომ იმ ქვეყანაში ინვესტორისთვის სასურველი გარემო არ არის.

— თუ „საქართველოს ფოსტა“ ბაზრის მონოპოლისტი გახდება, მომხმარებლის უფლებაც დაირღვევა, რადგან ფოსტასა და სხვა კომპანიას შორის არჩევანის გაკეთება აღარ მოუწევს?

— თქვენ, როგორც მომხმარებელს, უფლება გაქვთ, ბაზარზე იყოს კონკურენცია და თქვენთვის სასურველი კომპანიის მომსახურება აირჩიოთ. საბჭოთა კავშირში ხომ არ ვართ, სადაც ბაზარი დახურული იყო? ეს კანონპროექტი საბჭოური მმართველობის მინიმოდელია, რადგან ცენტრალიზებული მართვა და ფასების ზემოდან კარნახი, მხოლოდ იმ პერიოდის გადმონაშთია. დიდი პრობლემა შეექმნებათ ელექტრონული კომერციის მომხმარებლებს. მათ, ვინც ინტერნეტ-შოპინგს მიმართავს. ასეთნი, ბევრნი არიან. როცა მომხმარებელი ინტერნეტით ევროპიდან ან ამერიკიდან ნივთს იძენს, ირჩევს საკუთარ გადამზიდავს. ამიერიდან კი, ალტერნატივა არ იარსებებს და მას მხოლოდ „საქართველოს ფოსტასთან“ დაკავშირება მოუწევს. 4 წლის წინ, როცა საბაჟო რეფორმა გატარდა, ელექტრონული დეკლარაციების გამარტივებული ფორმა შეიქმნა. მას შემდეგ, საქონელს, 11-ის ნაცვლად, საქონელს 4-ნიშნა კოდი ენიჭება. ახლა ამას ჩვენ ვაკეთებთ, რადგან ფინანსთა სამინისტრომ, წერილის საფუძველზე, მის სისტემაში დაგვიშვა. ტვირთების ჩამონათვალს, თანხას, სახეობას შემოსავლების სამსახურის ელექტრონულ მისამართზე ვტვირთავთ. როცა ტვირთი ჩამოდის, საბაჟო ინფორმირებულია. ამის შემდეგ, შემოსავლების სამსახურის ელექტრონულ მისამართზე, მომხმარებლის საიდენტიფიკაციო კოდი ან კერძო პირის პირადი ნომერი შეგვყავს. თუ მომხმარებლის ტვირთის ღირებულება, 300 ლარს აღემატება, განსაბაჟებელია (300 ლარზე მეტი საფასურის შემთხვევაში, საქონელი განბაჟებას ექვემდებარება). შემოსავლების სამსახურის ელექტრონულ მისამართზე მომხმარებლის პირადი ნომრის შეყვანით, დეკლარირებას ვასრულებთ და მომხმარებელი, 30 დღის განმავლობაში, დღგ-ს იმ ქვითრის საფუძველზე გადაიხდის, რომელსაც სახლიდან გაუსვლელად, ჩვენგან მიიღებს. ამ მომსახურებას, ბაზარზე მოქმედი 45-ვე კომპანია უფასოდ ვთავაზობთ მომხმარებელს. კანონპროექტის მიხედვით კი, თუ გადამზიდავები არ დავრეგისტრირდებით, როგორც „საქართველოს ფოსტის“ მოხარკე კომპანიები, გამარტივებული დეკლარაციების სისტემაში აღარ დაგვიშვებენ. ანუ, ყველა მომხმარებელი, რომლის ტვირთი 300 ლარზე მეტი ღირებულების იქნება, იძულებული გახდება, წავიდეს გეზ-ში, დაბეჭდოს დეკლარაცია და გადაიხადოს გამარტივებული დეკლარირების საფასური — მინიმუმ 150 ლარი. გეზ-ში რიგში დგომას მოუწევს, რადგან დღის განმავლობაში, ასეთ განბაჟებას, დაახლოებით, 6 000 კაცი აკეთებს.

— ევროპის ქვეყნებში ამ მხრივ რა ვითარებაა?

— როდესაც ეკონომიკის მინისტრის მოადგილეს ვუთხარი, რომ ევროპის საუკეთესო ქვეყნებში ასეთი კანონი არ არსებობს, იცით, რა მიპასუხა? საქართველო ხომ ჯერ არ არის ევროკავშირის წევრი ქვეყანა, თუ გამომრჩა რამეო.

— რას ამბობთ, ეს ეკონომიკის მინისტრის რომელმა მოადგილემ გითხრათ?

— დიმიტრი ქუმსიშვილმა. რაც შეეხება ევროკავშირის რეგულაციებს, რეზერვირებული სერვისი ევროკავშირში 1997 წლამდე არსებობდა, მაშინ 100 გრამს შეადგენდა და მხოლოდ ფოსტებს ჰქონდათ უფლება, 100 გრამამდე წერილები გაეგზავნათ. არადა, 2014 წელს, კანონპროექტის ინიციატორები „საქართველოს ფოსტას“ 30 კგ-მდე ამანათის გაგზავნის უფლებასაც ანიჭებენ. 1997 წლიდან, ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა დაადგინეს, რომ ფოსტისთვის 100-გრამიანი წერილის მინიჭების პრიორიტეტი არასწორია და ბაზრის ლიბერალიზაციის მიზნით, 50 გრ-მდე შეამცირეს. 2008 წელს გადაწყვიტეს, რომ რეზერვირებული სერვისები გაეუქმებინათ და ბაზარი მთლიანად ლიბერალიზებული ყოფილიყო. ევროკავშირსა და საქართველოს შორის, ასოცირების ხელშეკრულების მე-4 მუხლში პირდაპირ წერია, რომ კურიერული სამსახური უნივერსალური მომსახურებისგან უნდა გაიმიჯნოს (კანონპროექტის ავტორები კი პირიქით, აერთებენ) და უნივერსალური მომსახურება რეგულირების ქვეშ დარჩეს. ასოცირების ხელშეკრულების ეს მოთხოვნა ამ კანონპროექტის ავტორებს სხვაგვარად ესმით. საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების სამოქმედო გეგმაში წერია, რომ, როგორც კი ქვეყანა ევროკავშირის ასოცირებული წევრი გახდება, ბაზარზე ნებისმიერი სფეროს ლიბერალიზაცია უნდა დაიწყოს და 5 წლის ვადაში დასრულდეს. ესენი კი გვეუბნებიან, წინ ხომ 5-წლიანი ვადა გვაქვს, ახლა 30 კგ-მდე შეზღუდვას დავაწესებთ და მერე, ნელ-ნელა, ამ ბაზარს ლიბერალურს გავხდითო. ეს ლოგიკა არ მესმის!

— ევროკავშირის წარმომადგენლებმა იციან ამ კანონპროექტის შესახებ?

— უკვე შევხვდი საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ეკონომიკურ ატაშეებს. ისინი შეწუხდნენ, რადგან საუბარია „საქართველოს ფოსტის“ პირდაპირ მონოპოლიზაციაზე, რაც ევროკავშირსა და საქართველოს შორის პარაფირებულ ასოცირების ხელშეკრულებას ეწინააღმდეგება. ეს კანონპროექტი წინააღმდეგობაში მოდის „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ კანონთან“, საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლთანაც, რომლის თანახმად, სახელმწიფო ვალდებულია, ბაზარზე თავისუფალი კონკურენცია შექმნას. ეს კონსტიტუციაშიც წერია. 1997 წლის 2 სექტემბერს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი, რომლის თანახმად, პარლამენტის მიერ მიღებული ყველა კანონი და ნორმატიული აქტი, ევროკავშირის სტანდარტებს უნდა შეესაბამებოდეს. „საფოსტო კავშირის შესახებ“ კანონპროექტი ლიბერალური ეკონომიკის პრინციპებს, კონკურენტუნარიანი გარემოსა და ბაზარზე ჯანსაღი კონკურენციის არსებობას ეწინააღმდეგება. იგი საქართველოს საინვესტიციო გარემოს მოკლავს. ფაქტია, უნივერსალური მომსახურების ბაზარი მცირდება, რადგან ელექტრონული ფოსტის პირობებში, სულ ცოტა ადამიანი გზავნის წერილს ფოსტის საშუალებით, 30 კგ-მდე ტვირთის მოთხოვნის ბაზარი კი ფართოვდება. გამოდის, მინიმალური სერვისისთვის, 45 კომპანიის გაჩერების სანაცვლოდ, „საქართველოს ფოსტა“ მთელ ბაზარს ითხოვს. ფოსტის დირექტორის დეკლარირებული ხელფასი, თვეში 11 000 ლარია. მე და ჩემმა კოლეგებმა „საქართველოს ფოსტას“ ხარკი უნდა ვუხადოთ, რათა მისმა დირექტორმა მინისტრებზე მაღალი ხელფასი მიიღოს, ტრენინგები მხოლოდ გუდაურში ჩაატაროს და რებრენდინგი ძვირადღირებულ კლუბში მოაწყოს?!

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში „ვერსიას“ განუცხადეს, რომ კანონპროექტი „საფოსტო კავშირის შესახებ“ შემუშავების სტადიაშია და მისი საბოლოო ვერსია ჯერ არ არსებობს. ეკონომიკის მინისტრის მოადგილის **დიმიტრი ქუმსიშვილის** განმარტებით: **„არაერთხელ განვაცხადეთ, რომ ყველა დაინტერესებულ ჯგუფთან ერთად, კიდევ ერთხელ განვიხილავთ დეტალებს. კანონპროექტთან დაკავშირებით, დაინტერესებულ ჯგუფებს რამდენჯერმე შევხვდით და ამ პროცესის გაგრძელებას მომავალშიც ვგეგმავთ. მთავარი, რის გამოც კანონპროექტი შემუშავდა და განხილვების ეტაპზე ვართ, მომხმარებელია. ჩვენი ამოცანაა, არც კერძო ბიზნესი დავაზარალოთ და უნივერსალური მომსახურების გამწევ ორგანიზაციასაც, რომელსაც შევარჩევთ, სარეზერვო მომსახურებები შევუქმნათ, რაც მას რეალურად მისცემს ამ სერვისის გაწევის შესაძლებლობას“.**

ქუმსიშვილისვე თქმით, კანონპროექტის მთავარი მიზანია, საქართველოში უნივერსალური საფოსტო სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციის ჩამოყალიბება, რომლის მომსახურება, საცხოვრებელი ადგილის მიუხედავად, ხელმისაწვდომი იქნება ქვეყნის ყველა მოქალაქისთვის. მინისტრის მოადგილე აცხადებს, რომ უნივერსალური საფოსტო მომსახურებით მომხმარებელთა უზრუნველყოფა, სახელმწიფოს საერთაშორისო ვალდებულებაა. რაც შეეხება ქუმსიშვილის განცხადებას, თითქოს საქართველო ჯერ ევროკავშირის წევრი ქვეყანა არ არის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში ამას სისულელე უწოდეს და „ვერსიას“ განუცხადეს, რომ მინისტრის მოადგილეს მსგავსი არაფერი უთქვამს. სამინისტროს ინიციატივით, „საფოსტო კავშირის შესახებ“ კანონპროექტის ღია და საჯარო განხილვა უკვე გაიმართა, რამდენიმე დღის წინ კი მინისტრის მოადგილე გადამზიდავი კომპანიების წარმომადგენლებსაც შეხვდა. შეხვედრაზე გადაწყდა, რომ „საფოსტო კავშირის შესახებ“ კანონპროექტის განხილვა გაგრძელდება. ამ ფონზე სამინისტროში უკვირთ, რა მიზანს ემსახურება გადამზიდავი კომპანიების აქცია.

გიორგი ბარაბაძის მიზნები და გეგმები

როგორ აპირებს კონკურენციის სააგენტოს ახალი თავმჯდომარე ქართული ბაზრის ლიბერალიზაციასა და თავისუფალი ვაჭრობის ხელშეწყობას

გიორგი იაშვილი

კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარე, კანონმდებლობის შესაბამისად, პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა 15 აპრილს დანიშნა. თანამდებობა დაიკავა პროფესიით სამართალმცოდნე ასოცირებულმა პროფესორმა გიორგი ბარაბაძემ, რომელიც პრემიერ-მინისტრთან არსებული ეკონომიკური საბჭოს აპარატის იურიდიული სამსახურის პირველი კატეგორიის მრჩეველი იყო, ხოლო 2007 წლიდან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო კონტროლისა და სასაქონლო ექსპერტიზის დეპარტამენტში მუშაობდა. კონკურენციის სააგენტოს მიზნებსა და ამოცანებზე, ასევე უახლოეს გეგმებზე სააგენტოს ახლადდანიშნულ ხელმძღვანელს, გიორგი ბარაბაძეს ვესაუბრეთ.

— ბატონო გიორგი, საქართველოს მთავრობის დაპირების შესაბამისად, კონკურენციის სააგენტო დამოუკიდებელ სტრუქტურად ჩამოყალიბდა, რომელიც ანგარიშვალდებულია პრემიერის წინაშე. პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ სააგენტოს შექმნა საქართველოში ჯანსაღი ბიზნესგარემოს ჩამოყალიბებას ემსახურება, რათა არ მოხდეს მონოპოლიების ხელშეწყობა. რა არის სააგენტოს ძირითადი მიზნები და ამოცანები?

— სააგენტოს ძირითადი მიზნები და ამოცანებია საქართველოში ბაზრის ლიბერალიზაციის, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის ხელშეწყობა. კერძოდ, სახელმწიფო (ცენტრალური, ავტონომიური და თვითმმართველი) ორგანოს მიერ ბაზარზე შესვლის ადმინისტრაციული, სამართლებრივი და დისკრიმინაციული ბარიერების დაუშვებლობა; ეკონომიკურ აგენტებს შორის კონკურენციის არამართლზომიერი შეზღუდვის დაუშვებლობა; მათ საქმიანობაში თანასწორუფლებიანობის პრინციპის დაცვა; დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების დაუშვებლობა; სახელმწიფო ორგანოთა მიერ, ეკონომიკური აგენტისთვის ისეთი ექსკლუზიური უფლებამოსილების მინიჭების დაუშვებლობა, რაც იწვევს კონკურენციის არამართლზომიერ შეზღუდვას და ა.შ.

— გაქვთ თუ არა უკვე ჩამოყალიბებული პრიორიტეტები, რომლებზეც უპირველეს ყოვლისა იქნებით ორიენტირებულნი?

— მოგეხსენებათ, სააგენტო ახალი შექმნილია და, პრაქტიკულად, ნულიდან ყალიბდება. რაც შეეხება საქმიანობის საწყის, პრიორიტეტულ ორიენტირებს, უპირველეს ყოვლისა, უნდა მოხდეს მისი პროფესიონალი კადრებით დაკომპლექტება. ამასთან, „კონკურენციის შესახებ“ კანონის მოთხოვნის შესაბამისად, 2014 წლის 1-ელ ოქტომბრამდე სააგენტომ უნდა შეიმუშაოს და დამტკიცდეს შესაბამისი სამართლებრივი აქტები, რათა განვახორციელოთ კანონით მინიჭებული უფლებამოსილება და სააგენტო ქმედითი გახდეს.

ანუ, საუბარია შიდარეგულაციებზე. კერძოდ, ნორმატიული აქტების, საქმიანობის წესის, მეთოდური მითითებებისა და სახელმძღვანელოების, ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების, განცხადებისა და საჩივრის ფორმების, მათი წარდგენის წესის, განცხადებისა და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურებისა და ვადების წესის, თვით საქმის მოკვლევის წესისა და პროცედურების შემუშავება და ა.შ.

— რა არის თქვენი, როგორც კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის მიზანი?

— მზარდი საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, ჩემი, როგორც სააგენტოს ხელმძღვანელის უმთავრესი მიზანია, კანონით განსაზღვრულ ვადებში სრულად მოხდეს მისი ფუნქციონალური ამოქმედება; თვით სააგენტოს საქმიანობა იმპერატიულად დაეფუძნოს ობიექტურობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის ამოსავალ პრინციპებს და რაც ხაზგასასმელია, ქვეყანაში სამართლიანი მართლწესრიგის დამკვიდრების პროცესში მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს.

— რას შეცვლის უკეთესობისკენ სააგენტოს საქმიანობა და როგორ აისახება ის ბიზნესსა და საზოგადოებაზე?

— სააგენტოს ფუნქცია-ამოცანათა გათვალისწინებით, მცირე ბიზნესის ხელშეწყობა და ზოგადად, ეკონომიკურ აგენტთა ინტერესების დაცვა პირდაპირპროპორციულად აისახება ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასა და საზოგადოების კეთილდღეობაზე.

— ბატონო გიორგი, არსებობს კრიტიკული მოსაზრებებიც. იგივე კანონპროექტის განხილვის პროცესში ოპოზიციისა და ბიზნესმენთა ნაწილის მხრიდან იყო კრიტიკა, რომ კონკურენციის სააგენტომ პირიქით, შეესაძლოა, ბიზნესის განვითარება შეაფერხოს. არგუმენტად კი დასახელდა დიდი ჯარიმები, რომელიც კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში ამოქმედდება.

— ცხადია, ნებისმიერი სიახლე აზრთა სხვადასხვაობას იწვევს და ეს დემოკრატიულ საზოგადოებაში ბუნებრივი მოვლენაა. პირიქით, ნებისმიერი განსხვავებული აზრი ფასეულია, თუკი იგი ხელს უწყობს ამა თუ იმ სფეროსა და მიმართულების დახვეწას. მთავარია, კრიტიკა არ იყოს შეურაცხმყოფელი და ფანტო-ილუზორულ გარემოებებზე დაფუძნებული. იმავდროულად, საზოგადოების ინფორმირების მიზნით, კანონთან მიმართებაში აღვნიშნავ, რომ იგი შემუშავებულია კონკურენციის სფეროში ევროკავშირის კანონმდებლობის საფუძველზე და თანხვედრაშია საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან. ამასთან, საგულისხმოა ისიც, რომ კანონპროექტის შექმნაში მონაწილეობდნენ, როგორც ამ დარგის სამეცნიერო წრეების თვალსაჩინო წარმომადგენლები, ასევე ისეთი ორგანიზაციები, როგორიცაა მსოფლიო ბანკი, ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება, შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტო და მრავალი სხვა. ამდენად, ცივილურ სტანდარტებთან თავსებადობის მხრივ კანონი, ვფიქრობ, კითხვებს არ ბადებს.

რაც შეეხება ჯარიმებსა და დაჯარიმების თემატიკას — იგი არ უნდა განვიხილოთ სააგენტოს საქმიანობის თვითმიზნად, თუმცა, კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, ცხადია, კანონის საფუძველზე ეს მექანიზმი ადეკვატირად იქნება გამოყენებული სამართალდამრღვევის მიმართ, რაც ნებისმიერ სამართლებრივ სახელმწიფოში ჩვეული, ტიპური მოვლენაა. ჯარიმის ოდენობის დადგენა კი კანონმდებლების პრეროგატივა იყო და ეს კანონში გაიწერა.

— რაც შეეხება საკადრო პოლიტიკას, დააკომპლექტეთ თუ არა უკვე სააგენტო და რამდენია სტრუქტურის ბიუჯეტი?

— სააგენტო ამჟამად სპეციალისტთა მოძიებისა და ეტაპობრივი ფორმირების პროცესშია. კანონმდებლობის შესაბამისად, კადრები კონკურსის წესით შეირჩევა, სააგენტოს ბიუჯეტი კი ამ ეტაპზე 510 ათასი ლარია.

თამარ სანიკიძე გორის უნივერსიტეტის სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს შეხვდა

განათლების მინისტრმა გორის უნივერსიტეტის სტუდენტებს განათლების სფეროში მიმდინარე სიახლეები გააცნო და მათ კითხვებს უპასუხა.

სასწავლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურული განვითარების პროექტის ფარგლებში, რეგიონული უმაღლესი სასწავლებლების რეაბილიტაცია სამინისტროსთვის პრიორიტეტულია. შესაბამისად, თანამედროვე სტანდარტების გორის სასწავლო უნივერსიტეტში არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი ხორციელდება. ბოლო წლებში სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა უნივერსიტეტის 4 სასწავლო კორპუსს და აღიჭურვა ახალი ინვენტარით, თანამედროვე ტექნიკით, სასწავლო ლაბორატორიებით, მოეწყო ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედანი. მიმდინარე წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ წიგნადი ფონდის შესავსებად უნივერსიტეტს 9 000 ლარი გამოუყო. იგეგმება ადმინისტრაციული კორპუსის რეაბილიტაცია.

განახლებული პროგრამებით, უნივერსიტეტის სამ ფაკულტეტზე (განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო; ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა; ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტებზე), 2000-მდე სტუდენტი სწავლობს. წარჩინებულ სტუდენტებს უნივერსიტეტი სწავლას უფინანსებს და სახელობითი სტიპენდიებით უზრუნველყოფს. ბოლო პერიოდში 55%-ით გაეზარდათ ანაზღაურება პროფესორ-მასწავლებლებს, ფინანსდებიან სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილე სტუდენტებიც.

„პირველი“

ქვეყნები, სადაც ქართველებს უვიზოდ ან მარტივად შეუძლიათ შესვლა

ჩვენი თანამოქალაქეების დიდი ნაწილი ელოდება დროს, როცა ევროკავშირთან უვიზო რეჟიმი ამოქმედდება, მანამდე კი, საქართველოს მოქალაქეებს ორდინალური პასპორტით უვიზოდ 12 ქვეყანაში შეუძლიათ გამგზავრება.

საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტის ინფორმაციით, უვიზოდ, ორდინალური პასპორტით, საქართველოს მოქალაქეები გაემგზავრებიან: თურქეთში, უკრაინაში, ბელორუსში, მოლდოვაში, ისრაელში, ირანში, აზერბაიჯანში, სომხეთში, ყაზახეთში, ყირგიზეთში, ტაჯიკეთსა და უზბეკეთში.

უვიზოდ ყოფნის ვადა განუსაზღვრელია აზერბაიჯანში, ბელორუსში, სომხეთში, ტაჯიკეთში, მოლდოვაში, უზბეკეთში, უკრაინასა და ყირგიზეთში.

ყაზახეთსა და თურქეთში კი უვიზოდ ყოფნის მაქსიმალური ვადაა 90 დღე. ირანში ორდინალური პასპორტით ყოფნის მაქსიმალური ვადა 45 დღეა.

რაც შეეხება ისრაელს, სადაც საქართველოს მოქალაქეებს სავიზო რეჟიმი სულ ცოტა ხნის წინ გაუუქმდათ, ქვეყანაში უვიზოდ შესვლა და იქ 90 დღემდე ყოფნა 180-დღიან პერიოდში შეუძლიათ.

საქართველოს მოქალაქეებს ვიზის აღება რამდენიმე ქვეყნის საზღვარზეც შეუძლიათ. მათ შორისაა ეგვიპტე, შრი-ლანკა, იამაიკა, ლიბანი, იორდანიის სამეფო, ნეპალი, ქუვეითის სახელმწიფო, მადაგასკარის რესპუბლიკა, მალდივის რესპუბლიკა, ტუვალუ, ჰაიტი, ჯიბუტი და სხვა.

„ამბები.ge“

ინდოეთში საქმროებს იტაცებენ

ინდოეთის პოლიციამ აღარ იცის, როგორ შეებრძოლოს დანაშაულის ახალ სახეობას — საქორწინო მოტაცებას, რომელსაც „აკადვა შაადის“ უწოდებენ. გატაცებული საპატარძლოების ძებნას ინდოელი სამართალდამცავები უკვე შეჩვეულნი არიან, იძულებით გათხოვება, განსაკუთრებით ქვეყნის ჩრდილოეთში, დიდი ხნის პრობლემაა, მაგრამ ამჯერად ქორწინების მიზნით მამაკაცებსაც იტაცებენ და ეს დანაშაულებრივი ბიზნესი, შეიძლება ითქვას, ყვავის ინდოეთის ღარიბ რეგიონებში. სასიძოების გატაცების შემკვეთები, როგორც წესი, საპატარძლოების მშობლები არიან, რომლებიც თავს იმით იმართლებენ, რომ ეკონომიურად უჭირთ, უფრო სწორედ, მიზეზად თანამედროვე მამაკაცების სიძუნწეს ასახელებენ. ღარიბ ოჯახებს ურჩევნიათ, ჰონორარი ბანდიტებს გადაუხადონ, ვიდრე ქალიშვილისთვის საქმრო მოძებნონ და როგორც წესი მოითხოვს, მას და მის ოჯახს, მზითვად სოლიდური თანხა გადაუხადონ. მზითვის ღირებულება კი წლიდან წლამდე იზრდება და, შესაბამისად, გატაცებული სასიძოების რაოდენობაც იმატებს — შარშან ასეთი 3 ათასამდე დანაშაული მოხდა, თანაც ეს ოფიციალური მონაცემებია, რაც გაცილებით ნაკლებია რეალურზე, რადგან მსხვერპლი იძულებულია, იარაღის მუქარით, ნებით განაცხადოს თანხმობა ოჯახის შექმნაზე.

ალკოჰოლი სიბერის წინააღმდეგ

ჰარვარდის სამედიცინო სკოლის მეცნიერთა ახალი გამოკვლევები ცხადყოფს, რომ მშვენიერი სქესის წარმომადგენლები, ვინც ალკოჰოლურ სასმელს ყოველდღიურად, მცირე დოზით იღებს, გაცილებით დიდხანს ცოცხლობენ. სპეციალისტები ირწმუნებიან, რომ სპირტიანი სასმელის ზომიერი მოხმარება დადებით ზეგავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე. გამოკვლევაში მონაწილეობა 50 წელს გადაცილებულმა 14 ათასმა ქალბატონმა მიიღო, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ერთი და იგივე ალკოჰოლურ სასმელს სვამენ, პრაქტიკულად, ყოველდღე, მთელი ცხოვრების განმავლობაში. აღსანიშნავია, რომ უმრავლესობა სამედიცინო დაწესებულების თანამშრომელი — მედდა აღმოჩნდა. გამოკვლევამ აჩვენა, რომ ყოველდღიურად ალკოჰოლის ზომიერად მიღება 28%-ით ამცირებდა დაბერების შანსს, ხოლო იმ ქალბატონებში, ვინც დღეში ერთხელ სვამდა, ეს ციფრი 50%-მდე იზრდებოდა. სწორედ ეს ქალბატონები ხანდაზმულ ასაკში შესანიშნავი ჯანმრთელობით გამოირჩევიან, ვიდრე ისინი, ვინც საერთოდ არ იღებდა ალკოჰოლს.

საღეჭი რეზინი ჯარისკაცებისთვის

პენტაგონი აქტიურად მუშაობს საღეჭი რეზინის ახალი სახეობის შექმნაზე: გამოგონებამ ამერიკელ ჯარისკაცებს ჯანმრთელი კბილები უნდა შეუნარჩუნოს. პროდუქტზე, სახელწოდებით Combat Gum, ქირურგიული კვლევების სამხედრო ინსტიტუტი მუშაობს. ანტიბაქტერიული პეპტიდების მაღალი შემცველობის წყალობით, კევმა კარიესის რისკი უნდა შეამციროს. ამერიკული მედია აღნიშნავს, რომ საღეჭ რეზინზე უკვე შვიდი წელია მუშაობენ, კვლევებზე კი 12 მილიონი დოლარია დახარჯული. უახლოეს პერიოდში კევის ტესტირება უნდა მოხდეს. აშშ-ს შეიარაღებული ძალები სტომატოლოგიურ პროცედურებზე ყოველწიურად 100 მილიონ დოლარს ხარჯავს. ზოგჯერ ჯარისკაცის ექიმთან მისაყვანად მისი სხვა კონტინენტზე გადაყვანა ხდება საჭირო. ჯარისკაცების დაახლოებით 40%-ს, სულ მცირე, სამი დაავადებული კბილი მაინც აქვს. სწორედ ამიტომ, თუ „სამხედრო კევი“, რომელიც 2 დოლარი ეღირება, ეფექტური აღმოჩნდება, შემცირდება შეიარაღებული ძალების ბიუჯეტის ხარჯიც.

სისხლის ჯგუფი რეპროდუქტიულ უნარს განსაზღვრავს

სისხლის ჯგუფი ორგანიზმის სხვადასხვა ფუნქციაზე ახდენს გავლენას და ამიტომაც მედიკოსები მას უკვე დიდი ხანია სხვადასხვა მხრივ სწავლობენ. ამ თემაზე ჩატარებულმა ბოლო გამოკვლევამ აჩვენა, რომ მშვენიერი სქესის წარმომადგენელთა სისხლის ჯგუფი გავლენას ახდენს სექსუალობასა და რეპროდუქტიულ უნარზე. იელის უნივერსიტეტის მეცნიერთა ექსპერიმენტში 45 წლამდე ასაკის 563 ქალბატონი მონაწილეობდა, ყველას პრობლემები ჰქონდა ფერტილურობასთან დაკავშირებით. როცა მათი სისხლის ჯგუფი შეამოწმეს, აღმოჩნდა, რომ უფრო მეტი პრობლემები ჩასახვასთან დაკავშირებით სისხლის პირველი ჯგუფის მქონე ქალებს ჰქონდათ. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ამ ჯგუფის წარმომადგენლების ფერტილურობის პარამეტრები ორჯერ უარესი იყო, ვიდრე სხვა ჯგუფის წარმომადგენელი მანდილოსნებისა. კვლევამ ცხადყო, რომ პირველი ჯგუფის სისხლი გამომუშავებული კვერცხუჯრედების რაოდენობას ამცირებს, სხვა ჯგუფის ქალებში, მთელი ცხოვრების განმავლობაში, დაახლოებით 400 ათასი სასქესო უჯრედი გამომუშავდება, პირველი ჯგუფის მქონეებში კი გაცილებით ნაკლები. არადა, დედამიწის მოსახლეობის 44%-ს სწორედ პირველი ჯგუფი სისხლი აქვს, მეორე ჯგუფი — 42%-ს, ხოლო მე-3 და მე-4 ჯგუფის სისხლი — პლანეტის მოსახლეობის 14%-ს.



ყველაზე ლამაზი ქალები მსოფლიოში

ამერიკელი მსახიობი ლუპიტა ნიონგო, რომელიც წელს „ოსკარის“ მფლობელი გახდა ფილმში „მონობის 12 წელი“ შესრულებული როლისთვის, პოპულარულმა გამოცემამ People წლის ყველაზე ლამაზ ქალად დაასახელა. ეს ყველაზე დიდი კომპლიმენტია, — განაცხადა ნიონგომ და აღნიშნა, რომ ადრე იდეალურ სილამაზედ ღია ფერის კანი და გრძელი, სწორი თმა მიაჩნდა. ჟურნალის ყოველწლიურ რეიტინგში კინოს, მუსიკისა და ტელევიზიის 50 წარმომადგენელი შევიდა. სიის მეორე ადგილზე მსახიობი კერი რასელია, რომელიც მთავარ როლს ასრულებს სერიალში „ამერიკელები“. საუკეთესოთა სამეულში შევიდა ჯენა დუენ-ტატუმი. წლის ყველაზე ლამაზი ქალების რეიტინგში მოხვდნენ ასევე მსახიობი და მომღერალი მინდი კალინგი და მომღერალი პინკი, მსახიობი ემბერ ჰერდი, გებრიელ იუნიონი, მოლი სიმსი, სტეისი კეიბლერი და კერი ვაშინგტონი. შარშან ცნობილი გამოცემის ლამაზი ქალების რეიტინგს სათავეში გვინეტ პელთროუ ედგა.

მეტროში კინოთეატრებს ეახლნიან

დუბაის მეტროს სადგურებში მალე კინოთეატრები და ელექტრონული ბიბლიოთეკები გაჩნდება და ყოველი სადგური ხელოვნების გარკვეულ სფეროსა და მიმართულებას მიეძღვნება: მუსიკას, ფერწერას, ფოტოგრაფიას, თანამედროვე ხელოვნებასა და ისლამურ კალიგრაფიას. ერთ-ერთ სადგურზე ელექტრონული ბიბლიოთეკაც განთავსდება. მეტროებში გაიმართება წარმოდგენები, მათ შორის 3D-შოუები, პროექტის ფარგლებში, მეტროსადგურებისა და მიწისქვეშა გადასასვლელების მოხატვა-გალამაზებაც იგეგმება. სამუშაოების ღირებულება, წინასწარი მონაცემებით, დაახლოებით 50 მილიონ დოლარია.

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

პლასტიკური ოპერაციები იდეალური სელფუოტისთვის



ლოს-ანჯელესის მცხოვრებმა ქალბატონმა 15 ათასი დოლარი დახარჯა პლასტიკურ ოპერაციებზე, რათა ფოტოგენური გამხდარიყო. ქალის თხოვნით, ექიმებმა შეუცვალეს სახის, ცხვირისა და ნიკაპის ფორმა. ახლა ამერიკელი აცხადებს, რომ კმაყოფილია პლასტიკური ქირურგების მუშაობით და შესანიშნავად გამოიყურება ფოტოებზე, რომელსაც სიამოვნებით ავრცელებს სოციალურ ქსელში.

სუდოკუ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

		7	8				3	
		4	7		3			
8	3				4		6	
9	1		2				8	
	2				9		1	6
	8		5				9	7
			4		2	6		
	6				8	1		

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

1		8		7	6			3
2		7						
3	5		2					4
				9			4	
	2						8	
	8			3				
8					1		2	5
						8		1
5			3	8		9		6

ᲠᲗᲣᲚᲘ

		8						
			4	3				2
6		4			9			7
	8	6			2			1
4				8				3
1			6			8	4	
2			1			9		8
9				5	4			
						5		

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

7			1				5	
	1	9		3		4		
		8			2			7
						7		
		7	5		6	2		
		6						
1			9			3		
		3		5		9	7	
	4				7			8

ᲣᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲥᲕᲘᲠᲘᲐᲜᲘ ᲠᲔᲡᲢᲝᲠᲐᲜᲘ ᲘᲑᲘᲪᲐᲖᲔ

ესპანურ კუნძულ იბიცაზე ამ ზაფხულიდან ახალი რესტორანი Sublimotion გაიხსნება, რომელიც მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული იქნება — აქ ვახშმობა კლიენტს 1500 ევრო დაუჯდება. რესტორნის შეფ-მზარეული პაკო რონსერო იქნება, რომელიც Michelin-ის ორი ვარსკვლავის მფლობელია. აქაური ვახშამი სპექტაკლისმსგავსი იქნება. ყველა შეკვეთილი კერძი მიცურდება სტუმრებამდე სპეციალური საჰაერო კამერების მეშვეობით და მაგიდის შუაგულში გაჩერდება. რესტორანში მხოლოდ ერთი მაგიდა იქნება, რომელიც 12 კაცს დაიტევს. კერძების მიტანა არომატიზებული კომპოზიციების თანხლებით მოხდება, მაგალითად, პაელიას დეგუსტაციას ზღვის ბრიზის არომატი მიყვება, ვარდისფერი ღვინისას — ყვავილების სურნელი, ცივი კერძებისას — ჩრდილოეთის ყინულოვანი ქარის. ოფიციანტები ერთი საღამოს განმავლობაში 20-ჯერ გამოიცვლიან ტანსაცმელს, ამ გასტრონომიული პერფორმანსის ხანგრძლიობა კი 2,5 საათი იქნება. დაწესებულება კურორტ პლაია-დენ-ბოსაზე განთავსდება, ახალ სასტუმრო Hard Rock Hotel Ibiza-ში, რომელიც მომავალ თვეს უნდა გაიხსნას.

ᲞᲔᲜᲡᲘᲝᲜᲔᲠᲘᲡ ᲛᲝᲬᲔᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲐᲡᲐᲮᲚᲔᲑᲔᲜ

ოჰაიოს შტატში მცხოვრებ პენსიონერ ქალბატონს სახლიდან იმის გამო გამოასახლებენ, რომ უარი განაცხადა ამ მავნე ჩვევისთვის თავის დანებებაზე. 89 წლის ბეულა ტუმბსი იძულებულია, დატოვოს საკუთარი საცხოვრებელი თვის ბოლომდე, რადგან სახლის მენეჯმენტის მოთხოვნებს ყურადღებას არ აქცევს. ცოტა ხნის წინ მას კვლავ შეახსენეს მოწევის აკრძალვა, თუმცა განაცხადა, რომ საკუთარ სახლში, რასაც უნდა, იმას გააკეთებს. ამ საცხოვრებელ სახლში დაბალშემოსავლიანი ხალხი ცხოვრობს, გადასახადიც დაბალია და მას სახელმწიფო აწესებს. ბეულას ქალიშვილს დედისთვის ადვოკატის დაქირავება სურდა, მაგრამ ყველამ უარი განაცხადა პენსიონერის დაცვაზე, რადგან მიაჩნიათ, რომ მოწევა მავნე ჩვევაა.

ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲡᲣᲚᲘ ᲡᲙᲐᲜᲕᲝᲠᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲣᲓᲝᲙᲣᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

9	7	2	8	6	4	3	5	1
1	6	5	9	3	7	4	8	2
8	4	3	5	2	1	9	7	6
5	3	4	2	1	9	8	6	7
7	8	6	4	5	3	2	1	9
2	1	9	7	8	6	5	4	3
4	2	1	6	9	8	7	3	5
6	9	8	3	7	5	1	2	4
3	5	7	1	4	2	6	9	8

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

2	8	6	4	1	5	9	7	3
9	4	3	6	8	7	5	2	1
1	7	5	3	2	9	8	4	6
7	1	8	5	6	4	3	9	2
6	9	4	7	3	2	1	5	8
3	5	2	1	9	8	7	6	4
5	3	1	2	7	6	4	8	9
4	6	9	8	5	3	2	1	7
8	2	7	9	4	1	6	3	5

ᲠᲗᲣᲚᲘ

7	8	6	4	5	3	2	1	9
3	2	5	1	8	9	7	4	6
4	1	9	2	7	6	5	8	3
8	9	4	7	6	5	3	2	1
6	7	2	3	1	4	9	5	8
1	5	3	9	2	8	6	7	4
5	6	1	8	9	7	4	3	2
9	4	8	5	3	2	1	6	7
2	3	7	6	4	1	8	9	5

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

6	4	5	3	1	2	9	8	7
3	2	9	8	7	6	1	5	4
1	8	7	5	9	4	6	3	2
5	1	8	9	4	7	3	2	6
4	3	2	6	8	1	7	9	5
9	7	6	2	5	3	4	1	8
2	9	4	1	6	5	8	7	3
8	6	3	7	2	9	5	4	1
7	5	1	4	3	8	2	6	9

ᲧᲣᲠᲬᲠᲐᲤᲔᲡ ᲚᲘᲤᲢᲔᲑᲡ ᲓᲐᲐᲛᲝᲜᲢᲐᲟᲔᲑᲔᲜ

იაპონურმა კომპანიამ Hitachi განაცხადა, რომ განზრახული აქვს მსოფლიოში ყველაზე სწრაფი, ულტრასწრაფი ლიფტების დამონტაჟება ჩინეთში, გუანჩჟოუს ფინანსურ ცათამბჯენში. 95 ლიფტიდან ორს ახლით შეცვლიან და როგორც კომპანიაში ამტკიცებენ, ისინი რეკორდულ სიჩქარეს განავითარებს — წუთში 1200 მეტრს, ყველაფერი კი ახალი ტექნოლოგიის წყალობით იქნება შესაძლებელი და იმავდროულად, უსაფრთხოებისა და კომფორტის ყველა სტანდარტებთან შესაბამისობაში იქნება. რაკიღა ცათამბჯენები და კიბე შეუთავსებელი ცნებებია, ლიფტი ყველა მაღალი შენობისთვის მეტად მნიშვნელოვანი კომპონენტია, მაგრამ, რაც უნდა პარადოქსულად ჟღერდეს, ლიფტები ზღუდავს შენობის სიმაღლეს. რაც მაღალია შენობა, მით მეტ ადგილს იკავებს ლიფტი. გუანჩჟოუს ფინანსური ცენტრი 2016 წელს უნდა გაიხსნას და რეგიონში ყველაზე მაღალი შენობა იქნება. აქ განთავსდება ოფისები, ოტელები, საცხოვრებელი ბინები და სავაჭრო ფართი, მისი სიმაღლე 530 მეტრი იქნება, შენობაში სულ 95 ლიფტი იქნება, მათგან ორი სპეციალური, რომლებიც პირველიდან 95-ე სართულზე დაახლოებით 43 წამში ავა.

ᲖᲐᲠᲛᲐᲪᲘ ᲤᲝᲡᲢᲐᲚᲘᲝᲜᲘ ᲪᲮᲔᲠᲨᲘ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲐ

34 წლის ამერიკელი ფოსტალიონი უილიამ მორსი ქალაქ დოუსონ-სპრინგსიდან სასამართლომ 6 თვით გისოსებსმიღმა გაუშვა, დამატებით 6 თვეს კი შინაპატიმრობა მიუსაჯა — მიზეზი ის იყო, რომ მან 45 ათასი წერილი თუ ამანათი ადრესატამდე არ მიიტანა. ამ „ქონებას“ ფოსტალიონი სპეციალურად ნაქირავებ საწყობში ინახავდა. მამაკაცის დანაშაული მაშინ გამჟღავნდა, როცა საწყობის მფლობელმა შემთხვევით იქ ამანათები აღმოაჩინა აშშ-ს ფოსტის ლოგოტიპით და ამის შესახებ სამართალდამცავებს აცნობა. ვფიქრობ, ფოსტალიონს უბრალოდ, სამუშაო მარშრუტის შემოკლება სურდა, ის სიზარმაცემ დაღუპა, — განაცხადა შენობის მფლობელმა. დამნაშავის ადვოკატმა კი აღნიშნა, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფი ცოტა ხნის წინ განქორწინდა და იძულებული იყო, სკოლიდან ბავშვები თავად გამოეყვანა, რის გამოც მთელი ფოსტის დასარიგებლად დრო არ ჰყოფნიდა. გარდა პატიმრობისა, სასამართლომ ზარმაც ფოსტალიონს კომპენსაციის სახით 15 ათასი დოლარის გადახდაც დააკისრა.

თეთრეული ანათებს

იტალიური ბრენდის Cosabella-ს დიზაინერებმა ქალის ახალი თეთრეული შექმნეს, რომელიც ანათებს. კომპლექტში, რომელსაც „ნათება“ უწოდეს, შედის ბიუსტჰალტერი Push up და საცვალი. ქსოვილი, რომლისგანაც თეთრეულია დამზადებული, განსაკუთრებულია — ის დაახლოებით სამი წუთის განმავლობაში შთანთქავს სინათლეს, შემდეგ კი შეუძლია სიბნელეში გაანათოს. ახალი თეთრეულის კომპლექტის ფასი 26,5-დან 101 დოლარამდე მერყეობს.

დაცვის პოლიცია მომხმარებელს სთავაზობს ავტომობილების GPS-GPRS მონიტორინგს

125
დაცვის პოლიცია

GPS-ის სისტემა მანქანის მფლობელს აძლევს საშუალებას, ცოცხალ – LIVE-რეჟიმში განსაზღვროს სატრანსპორტო საშუალების ადგილმდებარეობა, აკონტროლოს გადაადგილების ტრაექტორია და მართოს სატრანსპორტო საშუალებების მარშრუტები და გრაფიკები. უწყვეტ რეჟიმში და ყველაზე ოპერატიულად მიიღოს ინფორმაცია სახლიდან, ოფისიდან გაუსვლელად ინტერნეტის საშუალებით.

GPS-ის მომხმარებელს შეუძლია:

- მანქანის ადგილმდებარეობის, სიჩქარის, გავლილი ტრაექტორიის, მოძრაობის დროის, ძრავის მდგომარეობის (ჩართული/გამორთული) LIVE მონიტორინგი;
- გავლილი მარშრუტის ისტორიის დათვალიერება დღის, თვის, მოძრაობისა და დროის მიხედვით;
- განვლილ პერიოდში მაქსიმალური სიჩქარისა და მანძილის დაფიქსირება;
- სტატისტიკის ამოღება;
- მანქანის დაძვრა-გაჩერების ისტორიის ნახვა;
- საწვავის კონტროლი;
- საკონტროლო ფუნქციების ოპტიმიზაცია.

GPS-GPRS სისტემის გამოყენებით დაზოგავთ დროსა და თანხას, რაც მნიშვნელოვანია თქვენი ბიზნესისთვის.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით დაცვის პოლიციის საინფორმაციო სამსახურს 125 (ზარი უფასოა).

SECURITY POLICE 125 SECURITY POLICE 125

www.125.ge

დაიჯესტი

ქორწილს „მაკდონალდსში“ იხდიან

მსოფლიოში უდიდესი სწრაფი კვების რესტორნების ქსელი თავს ახალ ბიზნესში ცდის: ქორწილების, წლისთავებისა და სხვადასხვა სადღესასწაულო ცერემონიების ორგანიზება და ჩატარება. ამჟამად ჰონგკონგის „მაკდონალდსი“ იღებს შეკვეთებს ქორწილების McWeddings ჩასატარებლად. ტრადიციულ ცერემონიაზე სიძე-პატარძალი ალუბალს ჭამენ და კოცნიან ერთმანეთს, ჩვენს ქორწილებში კი ახალდაქორწინებულები შემწვარ კარტოფილს მიირთმევენ, — აცხადებს კომპანიის ერთ-ერთი წარმომადგენელი. ბევრი ახალგაზრდა ერთმანეთს პირველად სწორედ „მაკდონალდსში“ ხვდება და გასაკვირი არ არის, რომ შეუღლების ცერემონიის ჩატარებაც აქ უნდათ. ტრადიციული ჩინური ქორწილი საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა ახალგაზრდებისთვის — 10 ადამიანზე შეკვეთილი სუფრა ჰონკგონგის ხუთვარსკვლავიან სასტუმროში დაახლოებით 1300 დოლარი ჯდება, ამერიკული სწრაფი კვების რესტორანში კი დანახარჯი სულ რამდენიმე ასეული დოლარი იქნება.

ტელეკომპანია „თრიალეთი“

რეკლამა „თრიალეთზე“
დაგვიკავშირდით

032 239 38 23
599 25 13 31
www.trialeti.ge
trialeti@trialeti.ge
თბილისი:
ნუცუბიძის ქ. N12/1

„ფრიგანები“ ნაგვის ურნებიდან იკვებებიან

ამერიკის შეერთებულ შტატებში სულ უფრო პოპულარული ხდება ახალი მოძრაობა, რომლის წევრებიც საკუთარ თავს „ფრიგანებს“ უწოდებენ და მხოლოდ და მხოლოდ ნაგვის ურნებიდან იკვებებიან. „ფრიგანები“ კმაყოფილდებიან იმ საკვებით, რაც სხვა ადამიანებს მორჩათ და ეს მიმდინარეობა ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში გაჩნდა. მოძრაობა პროპაგანდას უწევს ცხოვრების ანტიმომხმარებლურ სტილს, ანტიგლობალიზმს და იწონებს ცხოვრების ალტერნატიულ სტრატეგიებს. მოძრაობის წევრები, რომელთაგან ზოგიერთი საკმაოდ დიდ ფულს შოულობს, მშვიდად აგროვებენ ნარჩენებს სუპერმარკეტებსა და კაფე-რესტორნებთან, ცდილობენ, შეეწინააღმდეგონ გადაყრილი საკვების ნარჩენების რაოდენობის მუდმივ ზრდას და ყველაფერს აკეთებენ, ეს ტენდენცია რომ შეწყდეს. ისე, აშშ-ში, სუპერმარკეტებსა და კაფეებთან შესაძლოა, მართლაც უამრავი საკვები „იშოვოს“ ადამიანმა, კარგად შეფუთული ბოსტნეული, მაკარონი, იოგურტი, ფუნთუშები და სხვ.

ვერსია
მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
რუსუდან შელია, ანი ბეშიტაიშვილი.
სტილისტი: ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.